პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
21 ივნისი
1940 წ.
№ 141 (5842)
ფასი 10 კაპ.

ლ. ბერია

დიდი სტალინის სახელოვანი თანამებრძოლი

ამიერკავკასიის ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის საქმეში მეტად თვალსაჩინო როლს თამაშობდა ამხ. ა. (საშა) წულუკიძე. ამხ. ა. წულუკიძემ, უმცირესობის ჯგუფიდან, სხვა ამხანაგებზე ადრე დაიწყო მუშაობა და ამასთან ერთად ბრძოლა „მესამე დასის" უმრავლესობის წინააღმდეგ. ამხ. წულუკიძე 1895 წელს შევიდა „მესამე დასში" და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას შესწირა. მაგრამ ამხ. წულუკიძეს არ დასცალდა მთლიანად გაეშალა ენერგია მძიმე ავადმყოფობის—ტუბერკულოზის გამო, რაც ხშირად მოსწყვეტდა ხოლმე პრაქტიკულ რევოლუციურ მუშაობას.

ამხ. წულუკიძე იყო იმ დროის ერთერთი განათლებული მარქსისტი, ნიჭიერი პროპაგანდისტი და პუბლიცისტი, რევოლუციონერი, მუშათა კლასის საქმის ბოლომდე ერთგული, ამხანაგ სტალინისა და ლ. კეცხოველის უახლოესი მეგობარი.

ამხ. წულუკიძე არის ავტორი მთელი რიგი მარქსისტული ნაშრომებისა: „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში" გაზეთი „კვალი", 1898 წ.; „საუბარი მკითხველთან"—1899 წ.; „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან" — 1899 წ.; „ჩვენი უთანხმოებანი" — 1900 წ.; „ოცნება და სინამდვილე" — 1903 წ.; „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან" — 1904 წ.; „პატარა შენიშვნა დიდ საკითხზე" — 1905 წ.; „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები" — 1905 წ. და სხვ.

ამხ. წულუკიძე თავის ნაშრომებში განსაკუთრებული სიღრმითა და თანმიმდევრობით ავითარებდა მარქსისტულ შეხედულებებს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის, პოლიტიკური ეკონომიის, მუშათა კლასისათვის პოლიტიკური პარტიის აუცილებლობის საკითხებზე, ნაციონალურ საკითხზე და სხვ.

1903 წელს ამხ. წულუკიძემ გამოსცა ბროშურა „ოცნება და სინამდვილე", რომელშიაც გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა ბელადის—არჩილ ჯორჯაძისა და ქართველ „ლეგალურ მარქსისტთა" ბელადის — ნოე ჟორდანიას „საერთო ნიადაგის" თეორია.

ამხ. წულუკიძემ თავის ბროშურაში მთლად გააცამტვერა „საერთო ნიადაგის" ბურჟუაზიული თეორია. მან ამხილა და ულმობელი ლოგიკით დაამტკიცა ამ თეორიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხასიათი.

ამხ. წულუკიძემ დაასაბუთა, რომ ენა კლასების და პარტიების საერთო მოქმედების ნიადაგს კი არ წარმოადგენს, როგორც ამას ჯორჯაძე ამტკიცებდა, არამედ კლასობრივი ბრძოლის იარაღს.

„ენაც ადვილი მისაჩნევია „საერთო ნიადაგათ". რამდენათაც ის ყველასათვის საზიარებელია, ის „საერთო ნიადაგს" წარმოადგენს, ისე, როგორც ბრძოლის ველი; მხოლოდ რამდენათ ამ სულიერ გამოხატულებით გამოითქმის დამალული სოციალური წინააღმდეგობა, იმდენათ იგი იარაღია ერთი მეორის დასამარცხებლათ მოსახმარი. თქმა არ უნდა, ყველასათვის სასურველია ამ იარაღის გამახვილება, განვითარება, მხოლოდ ეს განვითარება ხდება არა „საერთო მოქმედების ნიადაგათ", არამედ ამ „ნიადაგის" აღმოსაფხვრელათ, მოსასპობათ. სანამ თანამედროვე ცხოვრების პირობები არსებობენ, მისი ძირითადი უკუღმართობა ფესვიანათ არ ამოთხრილა, მანამ ენაც არ არის „საერთო ნიადაგი"; მხოლოდ მომავალი ერთ დიდ „საერთო მოქმედების ნიადაგს" გვიმზადებს, რომელზედაც ყველა „საფუძვლები" გამოიცვლება, შური და მტრობა მოისპობა". (**ა. წულუკიძე,** თხზ. კრებ. 1927 წ., იხ. სტატია „ოცნება და სინამდვილე", გვ. 157-158).

შემდეგ ამხ. წულუკიძე სწერდა რომ კაპიტალიზმის, კაპიტალისტური ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება კლასებისა და პარტიების ერთობლივი მოქმედებისათვის ნიადაგს კი არ ჰქმნის, არამედ უფსკრულს სთხრის მათ შორის.

„იქ, სადაც ვაჭრობა - მრეწველობა აღორძინებულა და ბურჟუაზია ფეხს იკიდებს, მეორე საზოგადოებრივი კლასი აუცილებლათ არსებობს და მას სწორედ ამ პირველ ხანაში უფრო ეჭირვება „ინტელიგენტური" ძალღონე, ვიდრე მერმე, როცა თვით ცხოვრების მუხრუჭები, შეერთებული ფიზიკური და გონებრივი მუშაობა თავის თავად ქმნის მტკიცე სოციალურ ძალას, რომელსაც ძლიერთანაც შეუძლია გამკლავება. ბურჟუაზიის იდეოლოგები ყოველთვის ამნაირად უხვევდენ საზოგადოებას თვალს, აჯერებდენ მუშათა კლასს: თქვენი ინტერესები მოითხოვენ ვაჭარ-მრეწველნი გამაგრდენ, გამდიდრდენ; რადგან დარწმუნებული უნდა იყოთ, თქვენც არ დაგივიწყებენ და საზოგადო „საერო" საქმესაც გააკეთებენო. ეს ჰანგები არა ერთხელ სმენია ევროპის დემოკრატიას. დღეს მას ჩვენში იმეორებს ბ. არჩილ ჯორჯაძე" (სტატია „ოცნება და სინამდვილე", თხზულებათა კრებული, გვ. 155).

ამხ. წულუკიძე, იცავს რა სოფლის კლასობრივი დანაწილების მარქსისტულ თეზისს, გადაჭრით უკუაგდებს იდეას, თითქოს არსებობდეს „საერთო ნიადაგი" როგორც თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის, ისე გლეხობის შიგნითაც.

„სოფელშიაც ვამჩნევთ იმ ეკონომიურ დანაწილებას, რომელიც მრეწველობის განვითარების აუცილებელი შედეგი და პირობა არის; სოფელშიაც ჩნდებიან ჩვენებური დროიძეები, რომელნიც ყოველგვარ ახალ გამოგონებას, მისი უმწეო თანამემამულის გასაძლიერებლათ გამოგონებულს, თავისდა სასარგებლოთ გამოიყენებენ; იქაც იჩინა თავი და იწვრთნება. ის წინააღმდეგობა, რომელმაც ...ნამდვილ ურთიერთობას სინათლის შუქი მიაყენა და მით „საერთო ნიადაგიც" კიდევ უფრო საოცნებოთ გახადა, საბოლოოთ წესი აუგო მას"...

„საგლეხო ბანკი... ვერ ახეირებს სოფლის წვრილ მესაკუთრეს, ვერ წასწევს წინ მის მეურნეობას, ვერ შეაჩერებს გლეხების ეკონომიური სივიწროვის ზრდას, ვერ მოსპობს ეკონომიურ წინააღმდეგობას და მით „საერთო ნიადაგათაც" ვერ გამოდგება". (სტატია „ოცნება და სინამდვილე", თხზულებათა კრებული, გვ. 168).

ამხ. წულუკიძე ამხელდა ჯორჯაძეს, როგორც კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მეხოტბეს, იმოწმებდა დასავლეთის კაპიტალიზმის განვითარების პრაქტიკას და ავითარებდა თეზისს კლასობრივი ზავისა და კლასთა თანამშრომლობის შეუძლებლობის შესახებ.

„არც ერთი ევროპის ერთაგანი კლასთა ბრძოლას არ გადარჩენია და „საერთო მოქმედების ნიადაგზე" ვერც ერთმა ფეხი ვერ მოიკიდა, თუმცა მათ ბ. არჩილ ჯორჯაძეზე არა ნაკლები მქადაგებლები ჰყავდათ. მარტო ერთი ბასტია ღირდა რამდენიმე ჯორჯაძეთ, მაგრამ მისმა ჰარმონიულმა თეორიამაც კი ვერ მოსპო კლასთა ბრძოლა, და სინამდვილე მისდა დაუკითხავათ წარიმართა". („ოცნება და სინამდვილე", თხზულებათა კრებული, გვ. 147).

ამხ. წულუკიძე ასაბუთებდა კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების მარქსისტულ თეზისს:

„თანამედროვე კაპიტალისტური წარმოება აშენებულია ზედმეტ ღირებულებაზე, რომელიც წარმოადგენს უყიდველ შრომას, მუქთათ დასაკუთრებულ მშრომელის ძალას. შრომა არის ერთადერთი წყარო ღირებულებისა და უკანასკნელის გასამრავლებლათ და გასადიდებლათ პირველის მომატებაა საჭირო. მეტი შრომა და ნაკლები შრომის ფასი—საწარმოო იარაღის მესაკუთრის სურვილია. ნაკლები შრომა და მეტი შრომის ფასი—მუდმივი წადილია მწარმოებლის; ეს დამოკიდებულება საზოგადოების ორ ელემენტთა შორის კაპიტალისტური წარმოების ნიშანდობლივი თვისებაა, მისი არსებობის აუცილებელი პირობაა და ამიტომ ვაჭრობა - მრეწველობის განვითარება ამ წინააღმდეგობის განვითარებას მოასწავებს". (სტატია „ოცნება და სინამდვილე", თხზულებათა კრებული, გვ. 147).

ამხ. წულუკიძე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ (ტუბერკულოზი) გარდაიცვალა 1905 წლის 8 ივნისს, 29 წლისა. ამხ. წულუკიძე დაკრძალეს ხონში 1905 წლის 12 ივნისს. ამხ. წულუკიძის დაკრძალვა, რომელსაც, მნახველთა გადმოცემით, 10.000-ზე მეტი კაცი დაესწრო, გადაიქცა გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ამხ. წულუკიძის დაკრძალვაზე ამხანაგი სტალინი გამოვიდა ბრწყინვალე სიტყვით, რომელშიაც მან, საშა წულუკიძის მუშაობის შეფასებასთან ერთად, გადაშალა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ამოცანები და სურათი. ამხანაგ სტალინის სიტყვას უდიდესი ბოლშევიკური გამარევოლუციურებელი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამხანაგ სტალინის გამოსვლამ მენშევიკების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ბოლშევიკების ბრძოლა მენშევიკებთან მთელს საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ამოღებულია ამხ. ლ. პ. ბერიას შრომიდან—„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის". წერილის სათაური რედაქციის ეკუთვნის.

საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა სმოლენსკის ოლქის საჯიშე მეურნეობის „სიჩოვკის" და ვოლგისპირა გერმანელთა რესპუბლიკის შტეინგარდის კოლმეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციათა ინიციატივა, რომლის მიხედვით წელს თითო საფურაჟე ძროხაზე უნდა დამზადდეს სულ ცოტა 3 ტონა სილოსი.

საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა კომკავშირის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს ყოველნაირად გაავრცელონ საჯიშე მეურნეობის „სიჩოვკის" და შტეინგარდის კოლმეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციათა ინიციატივა.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მე-9 პლენუმის მოწვევის შესახებ

პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ 23 ივნისს მოწვეულ იქნას პროფკავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს IX პლენუმი.

საბჭოთა კავშირის მწერალთა დელეგაციის ჩამოსვლა თბილისში

გუშინ, 20 ივნისს შუადღისას, თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მწერალთა დელეგაცია. იგი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს მწერალთა კავშირის გაფართოებულ პლენუმში, რომელიც მიძღვნილია აკაკი წერეთლის დაბადების ასი წლისთავისადმი.

მწერალთა დელეგაციაში შედიან — აკადემიკოსი—ი. ლუპოლი, ვ. კირპოტინი, ვ. გოლცევი, მ. ტარლოვსკი, კ. ლიპსკეროვი, ს. სპასკი, ზ. ბრიკი, უზბეკეთის მწერალი—გაფურ გულიამი, ვ. პერცევი და სხვ. დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ მოსკოვის ჟურნალ-გაზეთების სპეციალური კორესპონდენტები.

სტუმრებს სადგურზე შეხვდნენ საქ. განათლების სახალხო კომისარი ამხ. გ. კიკნაძე და მწერლები და პოეტები — ი. აბაშიძე, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, ს. ეული და სხვ.

აკაკი წერეთლის იუბილეს ჩამტარებელი სრულიად-საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ტოლსტოი თბილისში მოელიან უახლოეს ორ დღეში.

აკაკის დაბადებიდან ასი წლისთავის შესრულებისადმი მიძღვნილი პლენუმის შემდეგ, საბჭოთა კავშირის მწერალთა დელეგაცია გაემგზავრება პოეტის სამშობლოში—სოფ. სხვიტორში (საჩხერის რაიონი), სადაც აკაკი წერეთლის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად შესდგება დიდი მიტინგი.

„ლიტერატურნაია გაზეტა" ა. წერეთლის იუბილეს შესახებ

(მოსკოვი, საქ. კორ.)

„ლიტერატურნაია გაზეტამ" დღეს ნომერი მიუძღვნა აკაკი წერეთლის იუბილეს. გარდა მოწინავისა—„დიდი ქართველი პოეტი", ნომერში მოთავსებულია ა. გიორგაძის, ევგ. ლუნდბერგის, ვიქტორ გოლცევის, ბესო ჟღენტის სტატიები.

შეხვედრა საქართველოს პავილიონში

მოსკოვი, 20 ივნისი (**ბილდაპარატით ჩვენი საქ. კორ.**). დღეს საქართველოს პავილიონში შესდგა შეხვედრა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებისა მცხეთისა და ლაგოდეხის რაიონებიდან. პავილიონის მთავარმა მეთოდისტმა ამხ. დოლონაძემ ორივე ჯგუფს გააცნო პავილიონი. მცხეთის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ილაპარაკა რაიონის მიღწევებზე მარცვლეული კულტურებისა და მეცხოველეობის დარგში. სოფ. ერედის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ზაქაიძემ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ არის მოწყობილი შრომა კოლმეურნეობაში. ლაგოდეხელთაგან გამოვიდა რაიმიწგანის გამგე ამხ. ბუცხრიკიძე. მან ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიეს თამბაქოს მაღალ მოსავალს.

მოსკოვში მყოფმა კომპოზიტორმა ფოცხვერაშვილმა დღეს პავილიონში ჩაატარა კონსულტაცია ექსკურსიის ხელმძღვანელთათვის საქართველოს ხალხური შემოქმედების შესახებ.

გუშინ პავილიონში გამოჩნდა საუცხოოდ გამოცემული საპატიო წიგნი, რომელშიც შეტანილია სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ყველა მონაწილე საქართველოდან, გარდა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებისა და ნორჩი ნატურალისტებისა, რომელთა სახელებიც შეტანილი იქნება ორი სათანადო პავილიონის საპატიო წიგნებში. წიგნი გამოცემულია გაერთიანებული სახელმწიფო გამომცემლობის მიერ ამხ. ცინცაძის რედაქტორობით.

ცნობა

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის საარჩევნო ოლქებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შედეგების შესახებ

(ცნობები არჩევნების შედეგების შესახებ ქვეყნდება იმ მასალების მიხედვით, რომლებიც მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს მიერ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებისაგან)

1940 წლის 16 ივნისს კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის საარჩევნო ოლქებში ჩატარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების ჩასატარებლად მოწყობილი იყო ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 25 საარჩევნო ოლქი და კავშირის საბჭოს არჩევნების ვიიპურის (ვიბორგის) საარჩევნო ოლქი.

არჩევნები მოხდა 26-ივე საარჩევნო ოლქში.

კენჭისყრის ჩასატარებლად შექმნილი იყო 1.110 საარჩევნო უბანი.

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ რეგისტრირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 26-ვე დეპუტატის არჩევა. ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატია.

ამომრჩეველთა სიების მიხედვით სულ რეგისტრირებული იყო 497.043 ამომრჩეველი. კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა 495.402 კაცი, ანუ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,67 პროცენტი.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 25-ივე ოლქში კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 98,53 პროცენტმა. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" მე-90 მუხლის საფუძველზე გაუქმებულად სცნეს 212 ბიულეტენი. 7299 ბიულეტენში კანდიდატთა გვარები წაშლილი აღმოჩნდა.

კავშირის საბჭოს არჩევნების ვიიპურის (ვიბორგის) საარჩევნო ოლქში კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატს ხმა მისცა ამ საარჩევნო ოლქში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 98,15 პროცენტმა.

სია დეპუტატებისა, რომელნიც კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკისაგან არჩეული არიან სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში

ეროვნებათა საბჭოში

ტოივო ანტიკაინენი — კემის სასოფლო ოლქი
აქსელ მოსეს-ძე ანტილა — რუკოზეროს ოლქი
ანნა სტეფანეს-ასული აფანასიევა — კონდოპოგის სასოფლო ოლქი
ანდრია დემენტის-ძე ბოგდანოვი—ოლონეცკის ოლქი
ბორის ევგენის-ძე ვეგენეევი — პერვომაისკის ოლქი
ტატიანა სიმონის-ასული ვიკულინა — პრიონეჟიეს ოლქი
ვოლდემარ მათეს-ძე ვიროლაინენი — კემის საქალაქო ოლქი
პეტრე პავლეს-ძე გოტჩიევი — მედვეჟია გორას სასოფლო ოლქი
მარკოზ ვასილის-ძე გორბაჩევი—ბელომორსკის საქალაქო ოლქი
ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე დილდენკინი — პუდოგის ოლქი
ვასილ ნიკიტას-ძე დალმატოვი—პიტკიარანტის ოლქი
ანნა ანდრიას-ასული კლიუჩარევა—მედვეჟია გორას საქალაქო ოლქი
ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენი—კიაკისალმის (კექსჰოლმის) ოლქი
ტურე ივანეს-ძე ლეხენი — ზარეცკის ოლქი
ინკერი ივანეს-ასული ლეხტინენი — სორტავალის (სერდობოლის) ოლქი
სტეფანე კონსტანტინეს-ძე ლოკინი — ზეგოზეროს ოლქი
ილია პავლეს-ძე მაზურუკი—პრიაჟის ოლქი
კირილე ათანასეს-ძე მერეცკოვი — სუოიარვის ოლქი
ივანე დიმიტრის-ძე პაპანინი—ოქტომბრის ოლქი
პავლე სტეფანეს-ძე პროკონენი—ლოუხის ოლქი
გრიგოლ ივანეს-ძე სედოვი—ვიიპურის (ვიბორგის) საქალაქო ოლქი
ნიკოლოზ ნაზარის-ძე სოროკინი—ბელომორსკის სასოფლო ოლქი
იოსებ ივანეს-ძე სიუკიაინენი—ზაონეჟიეს ოლქი
ადოლფ პეტრეს-ძე ტაინი—ვიიპურის (ვიბორგის) სასოფლო ოლქი
არმას მათეს-ძე ეიკია — კონდოპოგის საქალაქო ოლქი.

კავშირის საბჭოში

გენადი ნიკოლოზის-ძე კუპრიანოვი — ვიიპურის (ვიბორგის) ოლქი

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს მეორე სესია

20 ივნისს, საღამოს, გრიბოედოვის სახელობის თეატრში გაიმართა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს მეორე სესიის მეორე სხდომა. სხდომაზე გაგრძელდა 1939 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 1940 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ დეპუტატ კ. მურჯიკნელის მიერ გაკეთებული მოხსენების განხილვა.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა—**ი. კუჯიაშვილმა, ა. გიორგაძემ, ი. გელეიშვილმა, გ. მუხაძემ, ლ. მესხმა, გ. რამიშვილმა, მ. მელიქიანმა, მ. მურადაშვილმა, რ. ლლონტმა, მ. აბესაძემ და ბ. გოგოძემ.**

ბიუჯეტის გარშემო კამათის შეწყვეტის შემდეგ საბოლოო სიტყვებით გამოვიდნენ მომხსენებელი დეპუტატი მურჯიკნელი და თანამომხსენებელი, საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი **ა. გოლეთიანი.**

ამის შემდეგ სესია გადავიდა ბიუჯეტის დამტკიცებაზე შემოსავალ-გასავლის კართა მიხედვით, როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილი თბილისის 1940 წლის საქალაქო ბიუჯეტისა დამტკიცებულია 168.711.000 მანეთის რაოდენობით. აქედან თბილისის ქალაქის აღმასკომის ბიუჯეტი დამტკიცებულია 94.926.600 მანეთის რაოდენობით, ლენინის რაიონის ბიუჯეტი დამტკიცებულია 8.530.600 მანეთის რაოდენობით, სტალინის რაიონისა — 10.650.500 მანეთის რაოდენობით, 26 კომისრის რაიონისა — 13.379.800 მანეთის რაოდენობით, ორჯონიკიძის რაიონისა — 10.781.700 მანეთის რაოდენობით, კიროვის რაიონისა—8.420.200 მანეთის რაოდენობით, ბერიას სახელობის რაიონისა—10.876.200 მანეთის რაოდენობით და მოლოტოვის სახელობის რაიონის ბიუჯეტი დამტკიცებულია 11.145.300 მანეთის რაოდენობით.

1939 წლის ბიუჯეტის შესრულების დამტკიცებისა და მიმდინარე წლის ბიუჯეტის მიღების შემდეგ სესია გადავიდა დღისწესრიგის მეორე საკითხის—საორგანიზაციო საკითხების განხილვაზე.

დეპუტატ ვ. სალაძის წინადადებით, დეპუტატი ვ. რუსაძე, სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო, სესიამ გაათავისუფლა თბილისის საბჭოს სავაჭრო განყოფილების გამგის მოვალეობისაგან.

თბილისის საბჭოს სავაჭრო განყოფილების გამგედ სესიამ აირჩია დეპუტატი ნ. კულიჯანოვა, ვაჭრობის საკითხებზე შექმნილი თბილისის საბჭოს მუდმივად მომქმედი კომისიის თავმჯდომარეობისაგან მისი განთავისუფლებით.

ვაჭრობის საკითხებზე თბილისის საბჭოს მუდმივად მომქმედი კომისიის თავმჯდომარედ სესიამ აირჩია დეპუტატი გ. თევზაძე.

ამით დაამთავრა მუშაობა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მეორე სესიამ.

გაიხსნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

(სოხუმი, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

20 ივნისს, საღამოს 7 საათზე, აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში გაიხსნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

სესია გახსნა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ჭოჭუამ, რომელმაც გამოაქვეყნა იმ საკითხების ნუსხა, რომლებიც შეტანილია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე განსახილველად.

დეპუტატ ი. კვიცინიას წინადადებით სესიამ დაამტკიცა შემდეგი დღისწესრიგი:

1. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და 1939 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცება.

შეაქვს აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

2. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცება, რომლებიც მიღებულია მეორე და მესამე სესიებს შორის პერიოდში და დამტკიცებულ უნდა იქნას აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მიერ.

დეპუტატ გ. გამსახურდიას წინადადებით სესია იღებს სხდომების რეგლამენტს.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. ს. მათითაშვილი. მომხსენებელი ფართოდ ჩერდება საბჭოთა კავშირის ხალხის დიდ მიღწევებზე და კონკრეტული მაგალითებით ასაბუთებს საბჭოთა აფხაზეთის მშრომელთა გამარჯვებებს. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის 1939 წლის ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში შესრულებულია, ნაცვლად გათვალისწინებული 78.727.400 მანეთისა, 83.597.500 მანეთით, ანუ შესრულება უდრის 106,2 პროცენტს. გასავლის ნაწილში ბიუჯეტი შესრულებულია 82.444.400 მანეთით, რაც გათვალისწინებული გასავლის 104.7 პროცენტს უდრის. მიმდინარე წლის ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში ითვალისწინებს 80.394.300 მანეთს. გასულ წელთან შედარებით ზრდა უდრის 1.666.900 მანეთს. ბიუჯეტში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი კულტსაყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ ზრდას.

ამხ. მათითაშვილის მოხსენების შემდეგ აფხაზეთის ასსრ ბიუჯეტის შესახებ თანამოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი კ. ცაკვავა.

სესიის პირველ სხდომაზე დაიწყო კამათი მოხსენების გარშემო.

ბ. მერკვილაძე



ალექსანდრე წულუკიძე

მგზნებარე რევოლუციონერ-ბოლშევიკი

35 წლის წინათ, 1905 წლის 21 ივნისს, ქ. ქუთაისში უდროოდ შესწყდა დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ალექსანდრე (საშა) წულუკიძის მომხიბლავი სიცოცხლე.

დაკარგვა იმ ადამიანისა, რომელიც დიდ სტალინთან ერთად აშენებდა ამიერ-კავკასიაში ლენინურ-ისკრულ სოციალ - დემოკრატიულ ორგანიზაციებს, უაღრესად მძიმე დანაკლისი იყო ბოლშევიკების პარტიისათვის.

„დაეცა მებრძოლი ბრძოლის ველზე" — ასე სწერდა სტალინური გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა", გამოხატავდა რა მშრომელი ხალხის საყოველთაო გლოვას და მწუხარებას.

ამ შესანიშნავი რევოლუციონერი ბოლშევიკის გარდაცვალებიდან ერთი წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „ახალ ცხოვრებაში", ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა:

„არიან ისეთი პირები, რომელთა სახელს პროლეტარიატი ვერ დაივიწყებს.

ისინი მოკვდნენ, ისინი სამუდამოდ დაგვშორდნენ, მაგრამ მათი წმინდა აჩრდილები თავს დაგვტრიალებენ და ყურში ჩაგვჩურჩულებენ: **იბრძოლეთ სოციალიზმისთვისო!**

დიდება და სახელი მათ აჩრდილებს!

ისინი ჩვენთან აღარ არიან, ისინი სამარეში განისვენებენ, მაგრამ მათი მადლიანი სახე, ეკლის გვირგვინით მორთული სახეები ჩვენ წინ სდგებიან და გვეუბნებიან: **იბრძოლეთ თავისუფლებისათვისო!**

დიდება და სახელი მათ სახეებს!

ისინი წავიდნენ, ისინი გაჩუმდნენ, მაგრამ მათი მიმკრთალი, ციხეში ჯდომით მისუსტებული ხმა, ჯერ კიდევ ყურში გვიტრიალებს: **სისხლი აიღეთო!**

დიდება და სახელი მათ გამომავლიძებელ ხმას!"

ისეთ პირებს ეკუთვნოდა ალექსანდრე წულუკიძე. დიდბუნებოვანი, კრისტალურად ფაქიზი და მადლიანი ადამიანი იყო იგი. ამიტომაც მარადიული ჩაუქრობელი შუქით არის გაკაშკაშებული დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის, ამ შეუდრეკელი რევოლუციონერის ნათელი სახე.

ძლევამოსილი პროლეტარიატი, სოციალიზმის დიადი ქვეყანა, სადაც ბრწყინვალე გამარჯვებებს ზეიმობენ მარქს, ენგელს, ლენინ-სტალინის დიადი იდეები, არასოდეს არ დაივიწყებს ადამიანს, რომელმაც თავისი მჩქეფარე სიცოცხლე უკლებლივ შესწირა სოციალიზმის საქმეს. მარქსის დიადი იდეებით აღგზნებული ალ. წულუკიძე აქტიურად ჩაება რევოლუციურ მუშაობაში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ის გატაცებით დაეწაფა მარქსისტულ ლიტერატურას. ერთერთ წერილში, რომელშიაც იგი თხოულობდა გაეგზავნათ მისთვის მარქსის „კაპიტალი", აღნიშნავდა: „მე მინდა მქონდეს მარქსის „კაპიტალი", როგორც გზის მაჩვენებელი სახელმძღვანელო, ჩირაღდანი"...

გამსჭვალული გამარჯვების ღრმა რწმენით, ის ოცნებობდა ბრწყინვალე მომავალზე. „პირდაპირ ალტაცებაში მოვდივარ, — სწერდა იგი ერთერთ წერილში, — არ შემიძლია ვიყო პესიმისტი, ვინაიდან მწამს უკეთესი მომავალი". იგი ღრმად იყო დარწმუნებული მარქსიზმის იდეების ყოვლისშძლე ძალაში, მას სწამდა, რომ „იდეა გაიმარჯვებდა" და მან ეს სიტყვები წარმოსთქვა უკანასკნელი ამოსუნთქვის დროსაც.

ამხ. წულუკიძე 19 წლის იყო, როდესაც შევიდა „მესამე დასში" და შესვლისთანავე გააჩაღა ბრძოლა „მესამე დასის" უმრავლესობის წინააღმდეგ, უმრავლესობისა, რომელიც იდგა „ლეგალურ მარქსიზმის" პოზიციებზე, რომელიც ამახინჯებდა მარქსიზმის რევოლუციურ თეორიას. დიდ სტალინთან ერთად, იგი დაუნდობლად ებრძოდა „საერთო ნიადაგის თეორიას", კლასების ჰარმონიულად თანამშრომლობის ბურჟუაზიულ თეორიას. მთელ რიგ პუბლიცისტურ წერილებში და ნაშრომებში იგი იცავდა მარქსისტულ-პოლიტიკური ეკონომიის პრინციპულ დებულებებს და უდიდეს თეორიულ მუშაობასთან ერთად ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ეწეოდა მეტად თვალსაჩინო პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობასაც.

ფასდაუდებელი და მრავალფეროვანია ამხ. წულუკიძის ღვაწლი მუშათა მასებში მარქსიზმის იდეების პროპაგანდის თვალსაზრისით. როგორც ამხანაგი ლ. პ. ბერია აღნიშნავს, ამიერ-კავკასიის ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნის საქმეში მეტად თვალსაჩინო როლს თამაშობდა ამხ. ა. (საშა) წულუკიძე. მთელი მისი რევოლუციური მოღვაწეობა პირველი რევოლუციისათვის მზადების პერიოდში დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან.

1903-1904 წლებში ამხანაგი წულუკიძე დიდი სტალინის დავალებით იგზავნებოდა საქართველოს მთელ რიგ რაიონებში. იგი ბრწყინვალედ ასრულებდა პარტიულ დავალებებს. როგორც თვალსაჩინო ორგანიზატორი და მგზნებარე პროპაგანდისტი, იგი უსაზღვრო სიყვარულით და პოპულარობით სარგებლობდა მუშათა მასებში.

დაუღალავმა მუშაობამ და საპყრობილემ ლოგინად ჩააგდო ის შეუდრეკელი მებრძოლი, ტუბერკულოზმა შთანთქა ამ ადამიანის დაუცხრომელი ენერგია...

ამხანაგმა წულუკიძემ დასტოვა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ნაშრომები, რომლებშიაც განსაკუთრებული სიღრმითა და თანამიმდევრობით არის განვითარებული მარქსისტული შეხედულებები პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაზე, მარქსისტული ტიპის პარტიის შექმნაზე, ნაციონალურ საკითხზე და სხვ.

ადამიანი, რომელმაც თავისი ნათელი და მჩქეფარე ცხოვრება უკლებლივ შესწირა სოციალიზმის საქმეს, მუდამ იცოცხლებს მილიონების გულში.

ა. მ. გორკის ხსოვნისათვის

18 ივნისს კულტურისა და დასვენების გორკის სახელობის ცენტრალური პარკის მწვანე თეატრში შესდგა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც მიეძღვნა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის ხსოვნას. სხდომა გახსნა ა. ნ. ტოლსტოიმ. სიტყვა გორკის შესახებ წარმოსთქვა კონსტანტინე ფედინმა. შემდეგ მოგონებებით გამოვიდნენ მწერლები კორნეი ჩუკოვსკი, ლევ ნიკულინი, ალექსი სურკოვი და სხვ. საღამოს 17 ათასზე მეტი კაცი დაესწრო. (საქ-დესი).

ი. ე. რეპინის მუზეუმის გახსნა პენატში

ლენინგრადი, 18 ივნისი (საქდესი). დღეს პენატში, კუოკალის მახლობლად გაიხსნა ი. ე. რეპინის მუზეუმი. სახლში სავსებით აღდგენილია ის მოწყობილობა, რომლებშიაც ცხოვრობდა და მუშაობდა ყალმის გენიალური ოსტატი, სადაც ხშირი სტუმარი იყვნენ გორკი, პავლოვი, მენდელეევი, კოროლენკო, ბეხტერევი, გლაზუნოვი.

მუზეუმში თავმოყრილია მხატვრის სურათები, ეტიუდები, ნახატები, მონახაზები, სამემკვიდრეო მასალა, ხელნაწერები, რაც პენატში დარჩენილა.

ცოტა მოშორებით პატარა გორაკზე არის დიდი მხატვრის საფლავი. დღეს იგი ყვავილებითაა დაფარული. საფლავი შემკულია გვირგვინებით ხელოვნების საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტისაგან, მხატვართა კავშირისაგან, სამხატვრო აკადემიისაგან.

მინდორში შეიკრიბნენ ლენინგრადის საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი, მხატვრები, ექსკურსანტები, რომელნიც ახალი მუზეუმის გახსნაზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ.

მიტინგის შემდეგ სტუმრები გაემართნენ სახლ-მუზეუმისაკენ. ექსკურსიის ხელმძღვანელნი დამსწრეთ უამბობენ პენატის სიმდიდრეთა შესახებ. ათასზე მეტმა მშრომელმა ინახულა მუზეუმი გახსნის დღეს.

პარტიული ცხოვრება

როდესაც პარტორგანიზაცია კარგად ხელმძღვანელობს

სოფელ ტიბაანის (სიღნაღის რაიონი) ოქტომბრის რევოლუციის 13 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმა დამტკიცებულია სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ.

ამ კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტორგანიზაცია (მდივანი — ამხ. ალ. გურაშვილი) სისტემატურად იხილავდა კრებებზე მეცხოველეობის განვითარების შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების რეალიზაციის მსვლელობას, რაზმავდა კომუნისტებს ამ დადგენილების განუხრელად განხორციელებისათვის. პარტორგანიზაციის ყოველდღიური დახმარებით მუშაობაში თავი გამოიჩინეს და სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობენ ამ კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები.

კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგემ ამხ. ს. გურაშვილმა აიღო ვალდებულება ნამატის გაზრდის, ცხვრის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. ამხ. გურაშვილმა მთავარი ყურადღება მიაქცია ცხვრის ბინების სრულ წესრიგში მოყვანას, ფერმის მწყემსებად შეარჩია საუკეთესო კოლმეურნეები.

ფერმამ ამხ. ს. გურაშვილის ნაყოფიერი მუშაობით და პარტორგანიზაციის დახმარებით შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია. 1939 წელს გეგმით ფერმას უნდა ჰყოლოდა 2.140 სული ცხვარი, ნამდვილად კი მოაშენეს 2.318 სული ცხვარი, ნამატი უნდა შეენარჩუნებინათ 900 სული, ხოლო შეინარჩუნეს 1.056 სული. მატყლი უნდა მიეღოთ 3.200 კილოგრამი, ფაქტიურად მიიღეს 4.900 კილოგრამი, ყველი თვითეულ ცხვარზე ნავარაუდევი იყო 3 კილო, მიიღეს 4 კილო და 100 გრამი.

ამ კოლმეურნეობიდან გამოფენის მონაწილეებად დამტკიცებული არიან აგრეთვე თამბაქოს საუკეთესო დამხარისხებელი ქალები თამარ კუპრაშვილი, რომელსაც გასულ წელს გამომუშავებული ჰქონდა 342 შრომადღე, და ვარვარა შახიევა, რომელსაც გამომუშავებული ჰქონდა 476 შრომადღე.

კარგად მოაწყო ამ მიმართულებით საქმე აგრეთვე დაბაწნორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი — ილო ბაგალიშვილი). პარტორგანიზაცია ყოველდღიურად აწარმოებდა კოლმეურნეებში საუბრებს გამოფენის საკითხებზე გამოყოფილი აგიტატორების საშუალებით. თვით პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ი. ბაგალიშვილი ადგილზე ეცნობოდა კოლმეურნეობის ყველა სამუშაოებს და იღებდა გადამჭრელ ზომებს მუშაობის უკეთესად წარმართვისათვის.

პარტორგანიზაცია გზადაგზა ამოწმებდა ყველა ფერმის მუშაობას, ისმენდა ფერმის გამგეთა მოხსენებებს და სახავდა პრაქტიკულ ღონისძიებებს შემდგომი მუშაობისათვის. პარტორგანიზაციამ ამ გზით წარმოებული მუშაობის შედეგად გამოავლინა კოლმეურნეობის მოწინავე სტახანოველი ადამიანები და დააწინაურა ისინი. ასე, მაგალითად, პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. ალ. კუტიბაშვილი რამდენიმე წლის განმავლობაში მეძროხეობის ფერმის მწყემსი იყო. იგი ყოველ წელს ზრდიდა ფერმას ნამატის 100 პროცენტის გაზრდის საშუალებით. იგი დაწინაურებულ იქნა ფერმის გამგის თანამდებობაზე. წელს ამხ. კუტიბაშვილი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა.

კ. ბეჟაშვილი

კომუნისტები და კომკავშირელები ავანგარდში

წითელწყაროს ნავთის სარეწაოების ბოლშევიკებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობის გადაწყვეტილებათა ურყევად განხორციელებისათვის. „საქნავთის" მუშაკები დაირაზმნენ საექსპლოატაციო და საძიებო ბურღვის გეგმების შესრულებისათვის.

წითელწყაროს ნავთის სარეწაოებმა 1940 წლის პირველი კვარტალის საწარმოო გეგმები ვადაზე შეასრულეს. საექსპლოატაციო და საძიებო ბურღვაზე მომუშავე ამხანაგებს მეორე კვარტალშიც არ შეუნელებიათ მუშაობა. 10 ივნისისათვის საექსპლოატაციო ბურღვის მეორე კვარტალის გეგმა შესრულებული იყო 109,5 პროცენტით, გადაჭარბებით არის შესრულებული საძიებო ბურღვის გეგმაც.

პირველ ხანებში ნავთის ძიებითი სამუშაოები საგრძნობლად ჩამორჩებოდა. აღნიშნული მდგომარეობა უმთავრესად გამოწვეული იყო მუშათა დენადობით. წითელწყაროს ნავთის სარეწაოების პარტორგანიზაციას მხედველობიდან არ გამორჩენია აღნიშნული მდგომარეობა. პარტბიუროს სხდომაზე, პარტორგანიზაციის გაერთიანებულ კრებაზე სერიოზულად იმსჯელეს. საექსპლოატაციო და საძიებო ბურღვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახულ იქნა ღონისძიებანი.

დადგენილების მიღება, ღონისძიების დასახვა—ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. მთავარია მიღებული დადგენილების პრაქტიკულად განხორციელება, არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ბრძოლა. პარტბიურო ყოველდღიურად ამოწმებდა და ამოწმებს პარტორგანიზაციის საერთო კრების მიერ დასახულ პრაქტიკულ ღონისძიებათა შესრულებას. ჩატარებული მუშაობის შედეგად შემცირდა მუშათა დენადობა, წინანდელთან შედარებით გაუმჯობესდა მუშათა პირობები, იმატა სტახანოველთა და დამკვრელთა რიცხვმა.

საექსპლოატაციო და საძიებო ბურღვის გეგმების შესრულებაში მუშაობის მისაბაძ მაგალითებს იძლევიან კომუნისტები და კომკავშირელები. ამხ. ს. კოჩიევი № 81 ჭაბურღილის უფროსად ითვლება. მან ისე მოაწყო ჭაბურღილზე მუშაობა, რომ ადგილი არა აქვს შეფერხებებს. ამ ჭაბურღილზე მომუშავენი ყველა გადაჭარბებით ასრულებს გეგმას. ჭაბურღილის მშენებლობა დამთავრებული იქნება ვადაზე 15 დღით ადრე.

ასევე წარმატებით მუშაობენ კომუნისტები ი. აბესაძე, ნ. ჩალხოშვილი, ბ. ხუმარიანი, ვ. ძებისაშვილი, მატკოვი და სხვ.

ამაღლდა კომკავშირელთა ავანგარდული როლი წარმოებაში. კომკავშირელები მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. მბურღავმა ა. ემინოვმა აპრილის გეგმა 165 პროცენტით შეასრულა და მიიღო 1572 მანეთი. პ. დოლგანინმა გეგმა 167,25 პროცენტით შეასრულა და მიიღო 2158 მანეთი. ამ ამხანაგებს ასეთივე მაჩვენებლები აქვთ მაისისა და ივნისის თვეებშიც.

წითელწყაროს ნავთის სარეწაოების ბოლშევიკებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს ჩამორჩენის გამოსწორებას ნავთის ამოღებისა და გადამუშავების საქმეში. ნავთის ამოღების აპრილის გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 76 პროცენტით.

მდგომარეობა არც მაისისა და ივნისის თვეებში გამოსწორებულა.

ნავთის ამოღებაში არსებული ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ შესწავლილი არ არის ცალკეული ჭაბურღილების ტექნოლოგიური რეჟიმი. ამჟამად ნავთის ამოღება სწარმოებს ტუმბოების საშუალებით, რაც ვერ უზრუნველჰყოფს გეგმის მთლიანად შესრულებას. დღემდე არ არის მოწყობილი კომპრესორის საშუალებით ნავთის ამოქაჩვა.

ნავთის ამოღებას აფერხებს აგრეთვე კვალიფიციური მუშა-ხელის ნაკლებობა, შრომის დისციპლინის დარღვევა და სხვ.

საქნავთის ბოლშევიკებს ყოველგვარი პირობა აქვთ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ ნავთის ამოღების გეგმა. მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება, ნავთის ამოღების ტექნიკის გაუმჯობესება, მუშათა დენადობის აღმოფხვრა, შრომის დისციპლინის განმტკიცება, კომუნისტების ავანგარდული როლის კიდევ უფრო ამაღლება—აი, რა უზრუნველჰყოფს ნავთის ამოღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

მ. თევზაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1) იასონ ნიკოლოზის-ძე **ინასარიძე** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1669121—თავისი წარსულის დაფარვისათვის. 2) ბაგრატ პეტრეს-ძე **ქავთელაძე** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1544852—არაკომუნისტური საქციელისათვის. 3) ივანე ევგენის-ძე **ჩაჩიბაია**—საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2167680—იმისათვის, რომ პარტიას დაუმალა, რომ მონაწილეობას იღებდა მენშევიკურ ავანტიურაში 1924 წელს და ეკუთვნოდა „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციას. 4) ივლიანე ბესარიონის-ძე **კოლბაია** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0468286—ანტიპარტიული ლაყბობისათვის. 5) ივანე ნიკოლოზის-ძე **ოქროპირიძე** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1936 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0709261—1937 წლის მაისიდან პარტსაწევრო გადასახადის შეუტანლობისა და პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტისათვის. 6) ფედოსია ისიდორეს-ასული **ფცქიალაძე** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2166062—სახელმწიფო თანხების მითვისებისათვის. 7) შალვა ერასტის-ძე **ბრეგვაძე**—საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1511617—უცხო ელემენტებთან კავშირისათვის. 8) ალექსი ანდრიას-ძე **ხეცურიანი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1263732—სახელმწიფო თანხების გაფლანგვისათვის. 9) ერმილე იაკობის-ძე **ცხვიტარია**—საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1921 წლიდან, პარტბილეთი № 2845951—ლოთობისა და სახელმწიფო თანხების გაფლანგვისათვის. 10) გიორგი იაგორის-ძე **ალანია** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1937 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0519486—სიყალბის ჩადენისათვის. 11) დავით დომენტის-ძე **ბუცხრიკიძე** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1678123—კოოპერატიული თანხების მითვისებისათვის. 12) ტაგი **აბაჰ-ოღლი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1931 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0925254—საკოლმეურნეო თანხების მითვისებისა და კოლმეურნეობისათვის მატერიალური ზარალის მიყენებისათვის. 13) არტავაზდ სარქისის-ძე **ხაჩატურიანი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1681645—ყოფაცხოვრებითი გახრწნილების ელემენტებისათვის. 14) ილია ილიას-ძე **გეგელია** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1675426—არაკომუნისტური საქციელისათვის. 15) კონსტანტინე დავითის-ძე **ძიგრაშვილი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1677736—სიმთვრალის დროს საკანდიდატო ბარათის დაკარგვისათვის. 16) გერასიმე ივანეს-ძე **ოხიჩენკო** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1087001—პარტბილეთის დაკარგვისათვის და როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული. 17) გრიგოლ იოსების-ძე **ბასიაშვილი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1532673—პარტბილეთის დაკარგვისა და 1937 წლიდან პარტცხოვრებისაგან მოწყვეტისათვის.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

ამასწინათ გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ ცხაკაიას რაიონიდან მიიღო მამხილებელი წერილი, რომლის ავტორი ამხ. მ. ჩიქობავა გვატყობინებდა: სოფელ ძველი სენაკის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული კომკავშირული ორგანიზაცია (კომიტეტის მდივანი—ს. დავითაია) სუსტად მუშაობს, რამდენჯერმე ჩაიშალა მოწვეული კომკავშირული კრება, რადგან წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა არ იყო ჩატარებული; ამასთანავე ავტორი გვაცნობებდა, რომ ამავე სოფლის სტურუას სახელობის კოლმეურნეობაში არსებული თავდაცვაავიაქიმის ორგანიზაციის მუშაობა ჩაშლილია, ხოლო კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია (მდივანი—ივლიტა ჩიქობავა) ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევსო.

რედაქციამ ეს წერილი შესამოწმებლად და საჭირო ზომების მისაღებად საქ. ალკკ ცხაკაიას რაიკომს გადაუგზავნა. კომკავშირის ცხაკაიას რაიკომი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა, რაიკომის ბიურომ თავის სხდომაზე განიხილა ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის საკითხი და მიიღო სათანადო დადგენილება მომავალში კომკავშირული კრებების მომზადებულად და ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად.

ჰავასის სააგენტო საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკების შესახებ

ბორდო, 19 ივნისი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, „გერმანიის მთავრობის ცნობა, რომელსაც დღეს, დილით, გაეცნო საფრანგეთის მინისტრთა საბჭო, არ შეიცავდა გერმანიის საზავო პირობებს. საფრანგეთი იარაღს მხოლოდ მას შემდეგ დაჰყრის, რაც მიღწეული იქნება შეთანხმება ამ პირობების შესახებ, ესე იგი, რწმუნებულთა შეხვედრის შემდეგ". როგორც შემდეგ სააგენტო აღნიშნავს, „შეიძლება კიდევ რამდენიმე დღემ განვლოს, ვიდრე საფრანგეთში ბრძოლა შესწყდებოდეს. უნდა ვშიშობდეთ, რომ იმ დროისათვის, როდესაც ბრძანება გაიცემა სამარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, დაკავებული იქნება საფრანგეთის ტერიტორიის კიდევ მნიშვნელოვანი ნაწილი. გერმანიის ჯარის წინსვლა სამხრეთ - აღმოსავლეთის მიმართულებით იმას გვაფიქრებინებს, რომ გერმანიის ჯარი ცდილობს შეუერთდეს იტალიის ჯარს. ალბათ, ეს შეერთება მოხდება ზავის დადების წინ". სააგენტო სხვათა შორის აღნიშნავს, რომ „დღემდე ჯერ კიდევ არ არის იტალიის ცალკე პასუხი იმ მიმართვაზე, რომელიც უკვე ორ დღეზე მეტია, რაც ერთსადაიმავე დროს გაეგზავნა რომსა და ბერლინს ვატიკანისა და ესპანეთის მეშვეობით".

მარშალ პეტენის საუბარი ესპანეთ ელჩთან

ნიუ-იორკი, 19 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო ბორდოდან იუწყება, მარშალმა პეტენმა მიიღო ესპანეთის ელჩი ლეკერიკი, საუბარმა 30 წუთს გასტანა.

საფრანგეთ-გერმანიის საზავო მოლაპარაკებისათვის

ნიუ-იორკი, 19 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი იუწყება, ბორდოდან გამოგზავნილ ესპანურ ცნობებში ნათქვამია, რომ საფრანგეთის სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ბერანჟე დანიშნულია გერმანიასთან საზავო მოლაპარაკების კომისიის მეთაურად.

გერმანიის ცნობის განხილვა საფრანგეთის მინისტრთა კაბინეტის მიერ

ლონდონი, 19 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო, ემყარება რა საფრანგეთის რადიოს, გადმოგვცემს:

„დღეს დილით ლებრენის თავმჯდომარეობით შესდგა საფრანგეთის მინისტრთა კაბინეტის სხდომა. დამსწრენი გაეცნენ გერმანიის ცნობას, რომელიც გადასცა ესპანეთის ელჩმა საფრანგეთში. ცნობაში ნათქვამია, რომ გერმანიის მთავრობა მზად არის წარუდგინოს საფრანგეთის მთავრობას სამარი მოქმედების შეწყვეტის პირობები, როგორც კი მას შეატყობინებენ, თუ ვინ იქნებიან საფრანგეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლები. გერმანიის მთავრობა შეატყობინებს საფრანგეთის მთავრობას, თუ სად და როდის იქნებიან მიღებული ეს წარმომადგენლები.

სხდომაზე დანიშნულ იქნენ საფრანგეთის წარმომადგენლები მოლა[illegible]ებისათვის.

ბრძოლები აფრიკაში

ლონდონი, 19 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს შემდეგ ცნობებს აფრიკაში ინგლისის ავიაციის მოქმედების შესახებ: „გამორკვეულია, რომ ტესენეიზე (ერიტრეის დასავლეთი ნაწილი სუდანის საზღვარზე) ინგლისის ავიაციის თავდასხმის დროს ბომბარდირების შედეგად დანგრეულ იქნა ანგარი. გარდა ამისა, ინგლისის ავიაციამ ორჯერ დაუშინა ყუმბარები ქალაქ რახეიტს (ერიტრეის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი).

სამხრეთ როდეზიის (ინგლისის კოლონია) ავიაციამ წარმატებითი საბრძოლო საზვერავი ფრენა ჩაატარა სამხრეთ აბისინიაში, ამასთან ყუმბარები დაუშინა მტრის სამარ საგუშაგოებს".

შემდეგ რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ „17 ივნისს ინგლისის ჯარის ნაწილებმა უკუაქციეს იტალიის ტრანსპორტი, რომელსაც მსუბუქი ტანკები იცავდნენ. ამასთან მოკლულ იქნა 20-30 იტალიელი, რამდენიმე კაცი წამოყვანილია ტყვედ. ინგლისელებს არცერთი კაცი არ დაუკარგავთ".

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება დროებითი ზავის შესახებ

ნიუ-იორკი, 20 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ესპანეთის ელჩმა საფრანგეთში ლეკერიკამ საფრანგეთის მთავრობისაგან ახალი ნოტა მიიღო ბერლინში გადასაცემად. საფრანგეთის წრეებში აცხადებენ, რომ მიმდინარეობს მზადება საფრანგეთის მთავრობის ალჟირში გადასასვლელად, თუ გერმანიის ზავის პირობები მიუღებელი აღმოჩნდება.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება: ბორდოში ფართოდ ავრცელებენ ხმებს იმის შესახებ, რომ „გერმანიის მოთხოვნა მიუღებელია და საფრანგეთის პრეზიდენტი ლებრენი და სხვები უკვე გადავიდნენ ან მალე გაემგზავრებიან ალჟირს". სააგენტო აღნიშნავს, რომ ეს ხმები ოფიციალურად არ დასტურდება.

ხმები საფრანგეთის მთავრობის ტუნისში გადასვლის შესახებ

ნიუ-იორკი, 20 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, რომ, ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობის თანახმად, „ამერიკის სამხედრო დაზვერვა იკვლევს დაუდასტურებელ ცნობას იმის შესახებ, რომ საფრანგეთის მთავრობა ტუნისში გადადის".

ბორდოს ბომბარდირება

ნიუ-იორკი, 20 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, გუშინ საღამოს ქალაქ ბორდოს ოთხჯერ დაუშინეს ყუმბარები.

ლიონი გერმანიის ჯარმა დაიკავა

ლონდონი, 20 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ „ლიონი გერმანიის მეწინავე რაზმებმა დაიკავეს".

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 20 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის შემდეგ ცნობას:

„ბრეტანში დავიკავეთ საფრანგეთის ნავსადგური ბრესტი. ნორმანდიაში გერმანიის ჯარის ნაწილებმა მიაღწიეს ლუარის ქვედა წელს, ნანტიდან ტურამდე, და ზოგიერთ პუნქტში გადალახეს მდინარე. შუა ლუარის სექტორში გავიარეთ შერი და ბურჟი და ფეხდაფეხ მივდევთ მტერს. ლუარის სამხრეთით გერმანიის ესკადრილიებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის ჯარის ნაწილებზე, რომლებიც უკან იხევენ. იმ პუნქტებში, სადაც მტერი ჯერ კიდევ გვიწევს წინააღმდეგობას, გერმანიის ავიაცია ეხმარებოდა სახმელეთო ჯარის მოქმედებას. ჩრდილოეთ ლოტარინგიაში გაბნეულია დამარცხებული საფრანგეთის აღმოსავლეთის არმიის ნაშთები, რომლებიც ტყვეთ არ იყო წამოყვანილი. მოზელის რაიონში, ეპინალსა და ტულს შუა, აგრეთვე ზემო ვოგეზების შუა და ზემო ნაწილში გერმანიის ჯარი სულ უფრო-დაუფრო ავიწროებს მტერს. ეპინალი, ტული და ლიუნევილი გერმანელთა ხელშია. დიდენჰოფენის ორსავე მხარეს ბრძოლა გრძელდება მაჟინოს ხაზისათვის, ვაისენბურგის დასავლეთით გარღვეულია მაჟინოს ხაზი. გერმანიის ავიაგამანადგურებლებისა და მოპიკირე ყუმბარმშენების შენაერთებმა პირდაპირი მოხვედრის შედეგად გაანადგურეს სიმაგრეთა ნაწილი. გერმანიის ჯარის ძიერ სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან წარმოებული ოპერაციების შედეგად აღებულია სტრასბურგი. ბურგუნდიის ჭიშკართან შეერთდნენ ჯარის ნაწილები, რომლებიც ბელფორიდან და ზემო რეინიდან მოიწევდნენ. მარტო 19 ივნისს წამოყვანილ ტყვეთა რიცხვი 200 ათას კაცს აღემატება; მათ შორის არის საფრანგეთის მეათე არმიის სარდალი გენერალი ალტმეიერი და მისი შტაბი.

10 მაისიდან დაწყებული, მტრის თვითმფრინავები, უმთავრესად ინგლისელებისა, ყუმბარებს უშენენ გერმანიის ღია ქალაქებს. წარსულ ღამეს ამ ბომბარდირების შედეგად სამოქალაქო მოსახლეობიდან მოკლულ იქნა 8 კაცი. გერმანიის ავიაციამ მოქმედება დაიწყო ინგლისის წინააღმდეგ. 19 ივნისს ღამით გერმანიის ესკადრილიებმა ყუმბარები დაუშინეს ინგლისის სამხედრო მრეწველობის ცენტრს—ბილინჰამს და დიდ ქიმიურ ქარხნებს. ჩამოყრილ იქნა დიდძალი დიდი ყალიბის ყუმბარა, რის შედეგადაც ბევრგან ხანძარი გაჩნდა, რომელიც 50 კილომეტრის მანძილზე სჩანდა. ცეცხლშია გახვეული აგრეთვე ჰულის ნავთსაცავები. გერმანიის ორმა სატორპედო კატარღამ ოინგენესის დასავლეთით ჩასძირა მტრის ერთი გემი, 4000 ბრუტო-რეგისტრული ტონა წყალწყვისა. გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა მტრის ტანკერი, 8000 ბრუტო-რეგისტრული ტონა წყალწყვისა. მეორე წყალქვეშა ნავმა ძწყობრიდან გამოიყვანა ინგლისის სამი გემი. ჰაერში მტრის საერთო დანაკლისი გუშინდელი დღის განმავლობაში 21 თვითმფრინავს შეადგენს. გერმანიის ექვსი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა".

აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავისათვის



აკაკი წერეთლის მოღვაწეობის 50 წლის იუბილესადმი (1908 წ.) მიძღვნილი საიუბილეო პლაკატი.

* * *

გიორგი ქუჩიშვილი

აკაკისადმი

როგორც მთა,
თოვლით შუქმფრქვეული,
იდგა მოხუცი
შუბლმოკაშკაშე;
ხელთ ეპყრა ქნარი,
მჟღერი,
გრძნეული!
და ლაღადყვავი
მისდამი ასე:
„ენატკბილო!
დღესაც გვესმის
მთაწმინდიდან
შენი ბგერა!
ჩვენც ფრთა გვესხმის,
მაგრამ შენებრ
ვერა ვმღერით,
ვფიცავთ, ვერა!
ჰანგთა მეფევ!
ისე რეკავს
ხმანარნარი
შენი ქნარი,
რომ ილიაც
ბანსა გეჭქავს,
მყინვარივით
დინჯად მდგარი
და თერგივით
ბობოქარი!..
მაშ, იხარე!
სხვებთან ერთად
შენი ერიც
აღსდგა მკვდრეთით;
აწყვეტილი ამირანიც
გადმოეშვა
მტერთა კვეთით!
სანეტარო
დახსნის ხმები
ეფინება
ზურმუხტ მდელოს:
გაუმარჯოს დიდ სტალინის
და რუსთველის საქართველოს!...

აკაკის საღამო ქუთაისში

აკაკის 100 წლის იუბილე ქუთაისმა 19 ივნისს გადაიხადა. სახელმწიფო თეატრი ვერ იტევდა საიუბილეო სხდომაზე დამსწრეთა მსურველებს. საღამო გაიხსნა საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ნ. ჯინჭარაძის შესავალი სიტყვით. დოც. გ. ჯიბლაძემ საინტერესო მოხსენებაში დაახასიათა აკაკის შემოქმედება და ის იდეები, რომლებსაც ემსახურებოდა აკაკი. მოგონებებით აკაკის შესახებ გამოვიდნენ დ. თომაშვილი და დ. მესხი. რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა დ. ანთაძემ საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა აკაკის, როგორც ქართული თეატრის მოამაგის შესახებ. დოც. კ. მეძველიას და მწერალი გ. გიასელის სიტყვების შემდეგ აკაკისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა დ. თომაშვილმა, გ. გიასელმა, შ. ჩარკვიანმა, ს. თევანიძემ, დ. პატატიშვილმა და გ. იმედაძემ.

საზეიმო ნაწილის დამთავრების შემდეგ ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა დასდგა სცენები აკაკის „პატარა კახიდან", ხოლო ქუთაისის მომღერალთა გუნდმა ბ. კუხიანიძის ხელმძღვანელობით შეასრულა მთელი რიგი სიმღერები აკაკის ტექსტზე.

საქართველოს საბჭოთა მწერლების ქუთაისის განყოფილებამ აკაკის იუბილესათვის გამოსცა ერთდროული გაზეთი „აკაკი". გაზეთი 6 გვერდს შეიცავს და ლამაზად არის გაფორმებული. გაზეთში მოთავსებულია: დ. თომაშვილის, დ. მესხის, ი. ზარდალიშვილის მოგონებები აკაკის შესახებ, წერილები: დოც. გ. ჯიბლაძის—„აკაკის ესთეტიკა", დოდო ანთაძის —„აკაკი და დრამატურგია", დ. კვირკველიას—„კაკო", პ. ხმალაძის—„აკაკი წერეთლის პროზა", გ. სამხარაძის და ვ. გუგუშვილის — „აკაკი და ხალხური შემოქმედება", დოც. ჯ. ნოღაიდელის — „ბათუმის ძვირფასი სტუმარი", დოც. კ. მეძველიას—„აკაკის პატრიოტიზმი", პ. ბახტურიძის—„სავარდო და სამაისო" და სხვები. გაზეთში დაბეჭდილია აკაკის ლექსი „ვარდის ხმაზე" და ვ. გუგუშვილის, ბ. კეშელავას, ს. თევანიძის, ვ. გვეტაძის, გ. იმედაძის, გ. გიასელის, ა. გურჯიძის, დ. პატატიშვილის, შ. ჯინჭველაშვილის, შ. ჩარკვიანის ლექსები, მიძღვნილი აკაკისადმი.

აკაკი წერეთლის იუბილე და თბილისის გუბერნატორი

იშვიათად როდისმე უნახავს თბილისს (მეფის დროს) ისეთი ნამდვილი სადღესასწაულო განწყობილება, როგორიც 1908 წლის 7 დეკემბერს იყო. ამ დღეს აკაკის უხდიდნენ მისი ლიტერატურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს.

თბილისის მთელი საზოგადოებრიობა ენერგიულად ემზადებოდა ამ დღისათვის. არჩევდნენ კანდიდატებს დეპუტაციებისათვის, ამზადებდნენ მისალმებებს. ადგილობრივმა გაზეთებმა „ივერიამ" და „ზაკავკაზსკოე ობოზრენიემ" ერთ თვეზე მეტი ხნის წინ დაიწყეს განსაკუთრებული ადგილის დათმობა მომავალი ზეიმისათვის.

ზეიმში მონაწილეობა მიიღო თბილისის ქალაქის სათათბირომაც, რომელსაც მაშინ სათავეში ედგა ლიბერალი ქალაქისთავი ვასილ ჩერქეზიშვილი.

ქალაქის სამმართველოს წინადადებაზე: 1) გაეგზავნათ დეპუტაცია იუბილიარისათვის ქალაქის სახელით მისალმების გადასაცემად ქალაქის სამმართველოს და ქალაქის თავის მიერ განსაკუთრებულად მიწვეულ ხმოსანთა შემადგენლობით, 2) ქალაქის ერთერთი სკოლისათვის მიეკუთვნებინათ იუბილიარის სახელი, 3) მიევლინებინათ ქალაქის სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა დეპუტაცია, — თბილისის ქალაქის სათათბირომ დაადგინა: „ქალაქის სამმართველოს დადგენილება პოეტ თავად აკაკი წერეთლის საპატივცემო ღონისძიებათა შესახებ დამტკიცებულ იქნას და ეს დადგენილება შესრულდეს ჟურნალის ხელმოწერის დაუცდელად" (1908 წ. 1 დეკემბერი).

მიღებულ დადგენილებაში (§ 3) ნათქვამი იყო, რომ ქალაქის ხარჯზე მყოფი ყველა საქალაქო სკოლების მოსწავლეები უნდა მდგარიყვნენ იმ ქუჩებში, სადაც იუბილიარი გაივლიდა. გარდა ამისა, ყოველი სკოლიდან არჩეული თითო მასწავლებელი რამდენიმე ამორჩეულ მოსწავლესთან ერთად წავიდოდა სახაზინო თეატრში, სადაც ერთერთი მოსწავლე ვაჟი მიმართავდა პოეტს მისალმებით, ხოლო ერთერთი მოსწავლე ქალიშვილი წარმოსთქვამდა სიტყვას.

ქალაქის სათათბიროს დადგენილების ამ ნაწილის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა გუბერნატორმა, რომელმაც გააუქმა იგი. ამასთან იგი იმოწმებდა 1870 წელს გამოცემული საქალაქო დებულების მუხლს, თუმცა კარგად იცოდა, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა უკვე დართო ნება (1908 წ. 26 ნოემბერს), რომ მოსწავლეებს მიეღოთ მონაწილეობა პოეტის იუბილეში.

გუბერნატორის წინააღმდეგობა იუბილიარის საპატივცემო ზეიმისადმი ამით არ დამთავრებულა. მთავრობის მორჩილი გაზეთები „კავკაზი" და „ტიფლისკი ლისტოკი" სრულებით არ გამოხმაურებიან იუბილეს. გაზეთ „ზაკავკაზსკოე ობოზრენიეს" რედაქტორის მრავალგზის დაპირება, რომ გაზეთი დაწვრილებით შეეხებოდა იუბილეს შემდეგებს, დაპირებად დარჩა. 7 დეკემბერს აკაკის საპატივცემო ზეიმის წესის ოფიციალური აღნიშვნის გარდა არაფერი ყოფილა ნათქვამი; მოყვანილი არ იყო აგრეთვე ი. გოგებაშვილის და სხვათა სიტყვები. სჩანს, მეფის ცენზურამ სათანადო ზეგავლენა მოახდინა რედაქტორზე.

ი. ენიკოლოფოვი

„სულიკომ" რა ჰქნა!

ზარბაზნების ქუხილი შესწყდა. ზამთრის მოკლე დღე დაილია და ჩამოთოვლილ ტყეში საღამოს ბინდი ჩამოწვა. მებრძოლებმა ნაძვის ნედლი ტოტები ჩამოჰკაფეს, ფარღალალა ქოხები წამოსდგეს და ღამის სათევად განლაგდნენ. მალე შუაღამემაც მოატანა, პოლიტხელის მოადგილემ ილია ხმალაძემ მზვერავები გაალაგა, იგი თავის მეგობარ, ლეიტენანტ ქუმსიევის რაზმს შეუერთა და დაზვერვაში წავიდა.

მტრის გამაგრებულ სიმაღლეს მიუახლოვდნენ. თოვლით დაფარულ გორაზე შუცკორელთა სნაიპერები ჩასაფრებულიყვნენ; ახლო მისასვლელი გზები ნაღმით მოეფინათ, მავთულის ღობე შემოერტყათ და მძიმე ტყვიამფრქვევებიც დაედგათ.

უცებ, ტყეში შუშხუნა გავარდა და კუპრი ღამე გაანათა. იმ აელვარებულ შუქზე ფინელებმა მიპარულ მზვერავებს თვალი შეავლეს და გაყუჩებულ ტყვიამფრქვევებს კაკანი დააწყებინეს.

ხმალაძემ თავისი რაზმი დასძრა და ქუმსიევმაც სიმაღლეს შეუტია, მაგრამ მტრის ძლიერმა ცეცხლმა იერიში მოიგერია. ილია მაინც არ გატყდა. წინ გაიჭრა, გრანიტის ყორეზე გადაბობღდა, მავთულის ღობე თოფის კონდახით დაზნიქა, ქვეშ, გაუძვრა, შუცკორელთა ტყვიამფრქვევებსაც გვერდი აუქცია და გორაკის წვერზე შემსხდარ სნაიპერებს გაუპირდაპირდა... მირბოდა ილია და თოვლში იფლობოდა. მერე მუხლებიც დაუწყდა, მოიქანცა და ნახევარ-გზა გავლილი ციცაბოზე დაეცა.

ქუმსიევმა თავისი რაზმი მარცხნივ გადაიყვანა, ხმალაძის მზვერავებმაც ადგილი ინაცვლეს და ფინელთა სიმაღლეს მარჯვნიდან სროლა აუტეხეს: ტყვიებმა ილიას წივილით გადაუარეს და თოვლში ჩაიშუშხუნეს. ხმალაძე ორპირ ცეცხლში მოექცა: მაღლა გორაზე შემსხდარი შუცკორები ჩასაფრებულიყვნენ. დაღონდა ილია და მწარე ფიქრს თავი მისცა.

უცებ ქუხილი შესწყდა. ტყვიამფრქვევებმა კაკანს უკლეს, ქარიც ჩადგა და გატვრინულმა ჭაღარა ტყემ საიდანღაც მობერილ უცხო სიმღერას ყური მიუგდო...

„გულამოსკვნილი ვტიროდი
სადა ხარ ჩემო სულიკო?..."

უცნაური ჰანგი დილის ცვარ-ნამად დაიბნა თოვლიან გორაზე, მობუზულ ტყეს შეეპარა, ძირგაყინულ ნაძვებს ფესვები გაუთბო, არყის ხეები გააყუჩა, ფინელთა სათოფურებშიც შეიჭრა და სამტროდ გადმოწეული ჩახმახები დააკეტინა.

რა ხმაა იგი—ფინურს ხომ არა ჰგავს და არც რუსულია?... მტერმა ყური გამახვილა, საგონებელში ჩავარდა.

ხმალაძე კი სევდას მოეხიბლა. მოხუცი აკაკის ცხელი გული უბეში ჩაესვა, ჩაეკრა, ჩაეხუტა და ჭაღარა სიტყვებს ჭაპუკური გრძნობით აკვნესებდა:

„სულგანაბული ბულბული
ფოთლებში მიმალულიყო..."

ცხინვალში გაზრდილმა ქუმსიევმა ხმალაძის „სულიკო" იცნო.—„ცოცხალია!"—ამოხდა გახარებული სიტყვა და წყვდიად ღამეში მეგობარს გასძახა:

— მითხარ რა გიჭირს, ილია?...

ამ ოთხმა სიტყვამ მტრის მიჯნა გადალახა, ციცაბოზე აიჭროლა და ნამქერში ჩაფლულ ილიას ყურში დაიბუდრა... გამოაფხიზლა და გაახარა... მერე კი თვითონაც იმ სიტყვების ნაკვალევს დააშტერდა, აკაკისას თავისიც ჩაურთო და სიმღერით ხმა გააწვდინა:

ერთიღა დამრჩა ყუმბარა
მტრისათვის შემონახული.

— გამაგრდი ილია, ფიქრი ნუ გაქვს, მტრის მსხვერპლად არ გაგხდით, — ამხნევებდა აღელვებული ქუმსიევი ქართულად.

— სიმღერით მითხარ, მტერი არ მიხვდეს,—გაუსწორა ხმალაძემ და რაღაც გაბედულად გაიაზრა. ქუმსიევი მიუხვდა, სასიმღეროდ მოემზადა, მაგრამ სმენაც ჟუსტი აღმოაჩნდა და ხმაც. როგორც იქნა „სულიკოს" კილო აიღო, გაყინული ჰაერი ფილტვებში ჩაისუნთქა, კისრის ძარღვები დაიბერა, გაციებულ ყელს დაეძალა და „ჩაუკრა-ჩაუკაკანა".

სიმღერამ მტერი ადგილიდან დასძრა. მაღლიდან რამდენიმე ჩრდილი დაცურდა. ილიამ ყუმბარა მოიმარჯვა და ქუმსიევს ვადაუმღერა:

— მეპარებიან, ნიშანზე ორთავე მხრიდან დასჭყივლეთ!...

ადამიანის ლანდები მოფოფხავდნენ. ილიამ ისინი ახლოს მოუშვა, მერე ცალი ყუმბარა დაახალა და შესაშინებლად ომახიანად დაიყოლა:

— ასეულო, წინ!...

— ოცეულო, მარცხნივ!—დასძახა ქუმსიევმა და ტყე შეაზანზარა.

— ცეცხლი მარჯვნივ!—დაიქუხა ხმალაძის რაზმის მზვერავებმაც და კუპრივით ბნელ ღამეში ყიჟინა და სროლა ასტყდა. ზურგში „ასეულის" მოულოდნელი გამოჩენით ელდანაკრავმა ფინელებმა პირი იბრუნეს და თავს უშველეს. ქუმსიევის ტყვიამფრქვევებმაც იმ გორაკის ძირში დაბუდებულ შუცკორელებს ტყვიები დაუშინა, სხვებმაც შაშხანები მიაშველეს და მტერი სადარაჯოდან ამოჰყარეს.

ილიამ ფერდობი სროლით აირბინა, თხრილთან მისდგა და გაქცეულ ფინელებს ტყვია მიაყოლა. ავტომატმა მოულოდნელად დაიჩხაკუნა. მოკლე ქურქში გახვეულმა ოფიცერმა ნაჩქარევი თოფი—ავტომატი გვერდზე მიაგდო, ისკუპა და ილიას ეცა, მერე ფოლადის მკლავები ჩაავლო, წელში მოხვია და დედამიწას მოსწყვიტა. ცოტა კიდევ და ჰაერში ატაცებულს მიწაზე დასცემდა.

ოდესღაც დოისში ნაქებმა მოჭიდავემ იმარჯვა, ლაჯებში კაური მისდო და იმ ახმახს დაეძგერა. ოფიცერმა მხეცივით დაიღმუვლა.

აქ სხვაგვარი ჭიდაობა იყო გამართული და საქმე ასე იოლად როდი დასრულდებოდა... დოისის მოედანზე გამარჯვებას ნაჩვევ ილიას ახლა თოვლით დაფენილ ფერდობზე წაქცეული მტრის ფალავანი, მაგრამ ირგვლივ არც ტაში და არც სალეკური არ ესმოდა.

წაქცეული ოფიცერი ილიას ხელებში ჩააფრინდა, გადიწია, ხმალაძე თან გადაიყოლა და ქვეშ ამოდო. მერე იდაყვება ყელში მიაბჯინა. ილიას ყრუ კვნესა აღმოხდა.

— „გაიგუდა"—გაიფიქრა ოფიცერმა და მარცხენა ხელი ქამარში გარჭობილ ორპირა დანას მიატანა. ილიას გულმა უგრძნო. უნებლიედ დასხლეტილი ხელი „ნაგანზე" გაიქცა. იარაღის ლულამ ოფიცერს თვალებში შეანათა და, როცა ბასრმა „ფინკამ" სიბნელეში იელვა, სამმა ტყვიამ ოფიცერი იქვე გააგორა.

გარიჟრაჟდა. მოქანცულმა ილიამ თოვლის საფლავიდან წამოიწია. ოფიცრის დანას დასწვდა, აიღო, მოღუშული დააცქერდა და იმ უძილო ღამის ნიშნად უბეში ჩაიხუტა.

ქუმსიევის რაზმი და ხმალაძის მებრძოლები დილას ელოდნენ. მერე დანაშულ მინდვრებში ბილიკები გატკეპნეს, მავთულხლართები დასჭრეს და სიმაღლეს შეეფინენ.

ოსეთის მთებში გაზრდილმა ქუმსიევმა თოვლიან ფერდობს აირბინა, მოულოდნელ მეგობარს გაუღიმა და თვითონაც გახარდა!

— ვაჟკაცი ხარ ილია!... ნახე რა ჰქნა „სულიკომ"?!...

სუსხიანი დილა თენდებოდა... ქარი მებრძოლებს ზურგში აწვებოდა და თავქვე მიაქანებდა... ილიას ნაცნობი კილო მოაგონდა...

აკაკის ლექსი, ლხინში სანატრელი, ომშიაც აღფრთოვანებდა მებრძოლებს.

ოთარ მეგაძე

საბჭოთა კავშირის გმირი ილია **ხმალაძე**

1905—ალექსანდრე (საშა) წულუკიძე—1940

ა. წულუკიძის მუზეუმში

(„კომუნისტის" კორესპ.)

მდინარე რიონის მარჯვენა მხარეს, თეთრი ხიდის მახლობლად, გეგუთის ქუჩაზე ერთსართულიანი იმერული ოდის პატარა ოთახში გათენებამდე ენთო სანთელი. ლოგინად იწვა საშა წულუკიძე.

ტუბერკულოზმა დაადნო ის, ვინც ესოდენ საჭირო იყო პროლეტარიატისათვის, მისი პარტიისათვის. ჩამოდგნენ მძიმე საათები... და ავადმყოფის გაფითრებულ ტუჩებს მესამე ყრილობის კავკასიელი ბოლშევიკი დელეგატი ეამბორა. „მესამე ყრილობაზე ბოლშევიზმმა გაიმარჯვაო".— გადასცა მ. ცხაკაიამ. ეს იყო პროლეტარული რევოლუციისათვის მებრძოლის უკანასკნელი სიხარული სიკვდილის წინ. მან, თვალებ-ცრემლიანმა, ძლივს გასაგონად, მაგრამ უდიდესი რწმენით წარმოსთქვა:

„ჰო, იდეა გაიმარჯვებს".

ეს 1905 წლის ამბავია. გავიდნენ წლები. რუსეთის ყოფილ იმპერიაში საშასათვის მუდამ სანატრელი თავისუფლების მზე ამობრწყინდა. ირგვლივ ყველაფერი გამოიცვალა: გეგუთის ქუჩას წულუკიძისა ჰქვიან. სულ სხვა ადამიანები მიმოდიან ახლა ქალაქის ქუჩებში ამაყი სახეებით, ბედნიერი, სტალინური აწმყოთი გახარებული გულით. როგორც კი მზე ჩაესვენება, ქალაქის ყოველ ნაბიჯზე, ყოველ ოჯახში ილიჩის ელნათურები იწყებენ ციმციმს. რიონის ხმაურითაც აღარავინ ფრთხება, იგი დიდიხანია ხალხის სამსახურში იმყოფება. დიახ, ყველაფერი გამოიცვალა...

სახლი კი, სადაც რევოლუციის საგუშაგოზე მდგომი შეუდრეკელი მებრძოლი ალ. წულუკიძე დაიფერფლა, ისევ დგას პირვანდელი სახით, იმავე ოთახებითა და ეზოთი, მაგრამ გალამაზებული, სათუთად მოვლილი. იგი ღირსშესანიშნავ, ისტორიულ ადგილად გადააქციეს საქართველოს ბოლშევიკებმა, მოაწყეს რა მასში მგზნებარე რევოლუციონერის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მუდმივი გამოფენა — წულუკიძის სახლ-მუზეუმი.

დღეს მხოლოდ 6 თვე შესრულდა მუზეუმის გახსნის დღიდან და, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, იგი უკვე გადაიქცა ლენინიზმის პროპაგანდის მძლავრ კერად, საყოველთაოდ ცნობილი გახდა. მუზეუმის მნიშვნელობა და სახელი გასცდა საქართველოს ფარგლებსაც. ის ინახულეს არა მარტო საქართველოს რაიონების მშრომელებმა. მუზეუმში უკვე იყვნენ მნახველები მოძმე სომხეთის რესპუბლიკიდან, ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებიდან, კურორტ წყალტუბოში ჩამოსული დამსვენებლები საბჭოთა კავშირის შორეული მხარეებიდან და სხვ. ამ ხნის განმავლობაში გამოფენა ნახა 340-მდე ორგანიზებულმა ექსკურსიამ 11.000 კაცის მონაწილეობით და 4500-ზე მეტმა ინდივიდუალურმა დამთვალიერებელმა.

რაღაც განსაკუთრებულ გრძნობას განიცდით, როცა ათვალიერებთ დიდი სტალინისა და წულუკიძის ცხოვრებისა და ბრძოლის უკვდავ ექსპონატებს, რომლებიც გამოფენილია მუზეუმში. მნახველებს ეს გრძნობები გადმოცემული აქვთ თავიანთ ჩანაწერებში, შთაბეჭდილებათა წიგნში. აი ზოგიერთი მათგანი:

„...მადლობას ვუძღვნით ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ ლ. პ. ბერიას, რომელმაც მისაწვდომი გახადა მშრომელთა ფართო მასებისათვის — გასცნობოდნენ მშობლიური სტალინის უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის ამხანაგ ალექსანდრე (საშა) წულუკიძის ცხოვრებას".

ლექსად ჩაწერილი:

„გაიმარჯვებსო ჩვენი იდეა,
მოისპობაო მშრომელთა ტანჯვა"...
— ტანჯვით დასრულდა შენი ცხოვრება,
მაგრამ იდეამ დღეს გაიმარჯვა".

„...წულუკიძის მგზნებარე რევოლუციური მუშაობის გაცნობა გვინერგავს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების რწმენას".

ამჟამად სახლი-მუზეუმი კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. ა. გ. წულუკიძის გარდაცვალების 35 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალმა იგი შეავსო ახალი ძვირფასი ისტორიული ექსპონატებით. დამთვალიერებლები ახალი დოკუმენტებისა და მასალების სახით მუზეუმში ნახავენ მოსკოვის, ბათუმის, ბაქოს, ხონისა და სხვა იმ ადგილების საერთო ხედის ფოტოსურათებს, სადაც წულუკიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა, მხატვარ ქ. გიორგაძის სურათს — „ჭაბუკი წულუკიძე რეფერატს უკითხავს თავის ტოლებს ქალაქ ქუთაისში", ქუთაისის ყოფილი ხლებნიკოვის პანსიონის, მოსკოვის რუმიანცევის სახელობის ბიბლიოთეკისა და მოსკოვის უნივერსიტეტის სურათებს, სადაც წულუკიძე სწავლობდა და მეცადინეობდა. მუზეუმში წარმოდგენილი იქნება სურათი მეტეხის ციხისა, რომელშიც იგი 1905 წლის 17 იანვარს დაპატიმრების შემდეგ იჯდა. აქვეა სურათი საშას მამიდის ნინო სიმონის-ასული წულუკიძე-ჩიქოვანისა, რომელიც დედის გარდაცვალების შემდეგ ზრდიდა ობლად დარჩენილს. მუზეუმისადმი ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ იგი ნათელ წარმოდგენას იძლევა ამიერ-კავკასიაში ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მუზეუმის ახალ ექსპონატებს შორის აღსანიშნავია ავლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბის მაკეტი, მხატვარ დობრინინისა და მაქსიმოვის ნახატები „გორის სახლის ხედი", მხატვარ ვ. კროტკოვის ესკიზი—„ამხანაგი ლ. პ. ბერია მოხსენებას აკეთებს თბილისის პარტიული აქტივის 1935 წლის 21-22 ივლისის კრებაზე", სტატიები და ფოტოსურათები დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქუთაისის ყოფილ გუბერნიაში გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შესახებ და სხვ.

აღელვებით კითხულობთ მუზეუმის უკანასკნელ დარბაზში მოთავსებულ არალეგალურ ბოლშევიკურ გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის" 1905 წლის 1 (14) ივლისის ნომერს, მიძღვნილს წულუკიძისადმი.

„წულუკიძე მხნედ და სრული რწმენით გაიძახოდა სიკვდილის წინ: „იდეა (აზრი) მაინც გაიმარჯვებსო".

„— დიახაც „გაიმარჯვებს იდეა", ამხანაგო-მეგობარო! და ამ გამარჯვებაში შენც არა მცირედი ღვაწლი მიგიძღვის პარტიის წინაშე!... პროლეტარები და სოფლის ღატაკნი არ დაგივიწყებენ, როგორც ერთ გულწრფელ მებრძოლთაგანს თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის".

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა თავისი გამარჯვებით სამარადისოდ უკვდავჰყო ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნა.

სწორედ ამაზე შეთხზეს საბჭოთა ქვეყნის ბედნიერმა ბავშვებმა თავიანთი მგზნებარე სიმღერა:

„კვლავ ცოცხლობს საშას გენია,
მისული ხალხის გულებთან,
რადგან დაგვნათის სტალინი —
დიდება საუკუნეთა".

გ. ჟურაშვილი.

ა. წულუკიძე—1884 წ.



ამხანაგი სტალინი სიტყვას ამბობს ა. წულუკიძის დასაფლავებაზე. (1905 წ.) მხატ. ი. ვეფხვაძის ნახატი.

ალ. წულუკიძის ხსოვნას

არიან ისეთი პირები, რომელთა სახელს პროლეტარიატი ვერ დაივიწყებს.

ისინი მოკვდნენ, ისინი სამუდამოდ დაგვშორდნენ, მაგრამ მათი წმინდა აჩრდილები თავს დაგვტრიალებენ და ყურში ჩაგვჩურჩულებენ: **იბრძოლეთ სოციალიზმისთვისო!**

დიდება და სახელი მათ აჩრდილებს!

ისინი ჩვენთან აღარ არიან, ისინი სამარეში განისვენებენ, მაგრამ მათი მადლიანი სახე, ეკლის გვირგვინით მორთული სახეები ჩვენ წინ სდგებიან და გვეუბნებიან: **იბრძოლეთ თავისუფლებისათვისო!**

დიდება და სახელი მათ სახეებს!

ისინი წავიდნენ, ისინი გაჩუმდნენ, მაგრამ მათი მიმკრთალი, ციხეში ჯდომით მისუსტებული ხმა ჯერ კიდევ ყურში გვიტრიალებს: **სისხლი აიღეთო!**

დიდება და სახელი მათს გამომაღვიძებელ ხმას!

ალექსანდრე წულუკიძე ასეთ პირებს ეკუთვნის და მას ვერ დაივიწყებს პროლეტარიატი.

ი. სტალინი.

(სტატია ამოღებულია გაზ. „ახალ ცხოვრების" 1906 წლის 25 ივნისის ნომრიდან, წულუკიძის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით. სტატია დაიბეჭდა ხელმოუწერლად მეთაურის ადგილას).

საშა წულუკიძე

(მოგონებიდან)

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ნახევარში ერთმა ჩემმა ამხანაგმა, მარქსისტული წრის წევრმა, მომიყვანა ასე 18-20 წლის ახალგაზრდა, გაგვაცნო ერთმანეთს და მითხრა:

— ეს ყმაწვილი თუმცა თავადებიდანაა, მაგრამ სულითა და გულით ჩვენი კაცია. სურს ისწავლოს და იმუშაოს ჩვენთან ერთად.

ეს იყო წვრილმამულიანი თავადის ვაჟი ალექსანდრე გრიგოლისძე წულუკიძე. მან უდიდესი როლი შეასრულა ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნაში და შემდგომ ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლი იყო.

მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, ალექსანდრე (საშა) წულუკიძე პოლიტიკურად განათლებული, კულტურული ადამიანი იყო, იგი განირჩეოდა დიდი ჭკუით, მტკიცე ხასიათითა და შრომისმოყვარეობით.

მაგონდება პირველი რეფერატი, რომელიც საშა წულუკიძემ წაიკითხა მუშათა და სტუდენტთა ნახევრად ლეგალურ კრებაზე. ეს რეფერატი წარმოადგენდა მარქსისტის დიდ თეორიულ ნაშრომს და მსმენელებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა.

ჯერ კიდევ მაშინ, ახალგაზრდობის წლებში, ამხ. წულუკიძე ჩინებულად იცნობდა მუშათა და გლეხთა ცხოვრებას და ეს აადვილებდა ჩვენს მუშაობას მასებში.

ალექსანდრე წულუკიძე მთელი არსებით იყო ჩაბმული რევოლუციურ მუშაობაში.

მიტინგებსა და დისკუსიებზე თავისი მკაფიო სიტყვებით წულუკიძე რაზმავდა მუშებსა და გლეხებს ბოლშევიკების პარტიის ირგვლივ. საშა წულუკიძე იყო ამიერკავკასიის მშრომელი მასების ავტორიტეტული და საყვარელი პროპაგანდისტი და აგიტატორი.

როდესაც მე პარტიის მესამე ყრილობაზე წავედი, საშა წულუკიძე დავტოვე ენერგიული და შრომისუნარიანი. როდესაც ყრილობიდან დავბრუნდი, გავიგე, რომ ჩვენი საყვარელი საშა უკანასკნელ დღეშია. იგი დაავადდა მენინგიტით და ზედ დაემატა ტუბერკულოზის პროცესის გართულება.

მე დაუყოვნებლივ გავემართე ავადმყოფ მეგობართან. მასთან იყვნენ ორი ადგილობრივი ექიმი, მეგობრები და ახლო ნათესავები. წულუკიძის მეუღლე მიუახლოვდა მას და ჩასჩურჩულა ჩემი მოსვლის შესახებ. იგი გაინძრა და დამიწყო თვალებით ძებნა. მე დავიხარე, მაგრად ვაკოცე და ვუთხარი:

— საშა, ყრილობაზე ჩვენმა საქმემ გაიმარჯვა!

თვალებში სიხარულის ცრემლი მოერია...

დიდხანს ვიჯექი სიკვდილის პირას მისულის საწოლთან და შევცქეროდი საყვარელ, ძვირფას სახეს.

ალექსანდრე წულუკიძის უდროო სიკვდილის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს საქართველოს.

საშა წულუკიძის დასაფლავება გრანდიოზულ დემონსტრაციად იქცა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. საშას ცხედარს მიაცილებდა არანაკლებ ათიათასი კაცისა. ყოველი მხრიდან ჩამოდიოდნენ დელეგაციები წითელი დროშებით. წარმოითქვა მრავალი მგზნებარე სიტყვა, რომელიც თავდებოდა მოწოდებით: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს სოციალიზმს!" დასაფლავებაზე ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა ამხანაგმა სტალინმა. საშა წულუკიძის სახით, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა, — პარტიამ და პროლეტარიატმა დაჰკარგა ნიჭიერი ორგანიზატორი, გამოცდილი რევოლუციონერი მარქსისტი, მუშათა კლასის, სოციალიზმის საქმისათვის თავდადებული ადამიანი.

ამხანაგმა სტალინმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა მენშევიკები, რომლებიც ცდილობდნენ დემონსტრაციას ჩიტმასნოდნენ და დემონსტრანტებს შორის მომხრენი ეპოვნათ. ამხანაგმა სტალინმა მენშევიკები შეადარა მუმლს, რომელიც მკაფიო შუქურას ირგვლივ ტრიალებს, და მრისხანედ წარმოსთქვა, რომ ეს მუმლი არ არის ღირსი იმისა, რომ მიუახლოვდეს მკაფიო შუქურას — საშა წულუკიძეს.

დიდმა პროლეტარულმა რევოლუციონერმა საშა წულუკიძემ მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ ბრწყინვალე სიცოცხლე შესწირა პარტიის საქმეს, მუშათა კლასის საქმეს. საშა გარდაიცვალა მებრძოლ რევოლუციურ სადარაჯოზე. იგი მტკიცედ იბრძოდა საზიზღარი თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის მიერ ხალხის ჩაგვრის წინააღმდეგ, მარქსიზმის ყველა მტრის წინააღმდეგ. ლენინის ერთგული მოწაფის, დიდი სტალინის თანამებრძოლის საშა წულუკიძის სახელი საუკუნეთა განმავლობაში იცოცხლებს.

მიხა ცხაკაია

ვალ. გაფრინდაშვილი

საშა წულუკიძე

შევარდენს ჰგავდი დახვეწილი მკრთალი პროფილით.
გარდასული დრო ვერ გხიბლავდა თავის ქამანჩით.
დაჰგმე წინაპართ ნადიმები, ცეკვა-თამაში
და ხალხს შესწირე შენი მოკლე წუთისოფელი.

მუშის ლაშქრობა გააჩაღე—მტერთა მპყრობელი.
მოუწოდებდი ჯანყისაკენ გლეხს ქალამანში.
გძულდა სიცოცხლე, ჩაჭედილი ყველგან სამანში.
კობასთან ერთად დიდი ხანძრის იყავ მხმობელი.

მეტეხსაც ახსოვს შენი სახე. ო, რა იცოდი —
ასე უდროოდ ახალგაზრდა რომ დაიწვოდი.
შენს დაუვიწყარ, ქარიშხლიან გასვენებაზე
მრავალი სიტყვა გაისმოდა მრავალ ენაზე.

ჰქქდა და ქუხდა გამარჯვება სტალინის ხმაში
და შენი კუბოც გადაიქცა ტრიბუნად მაშინ.
1940 წელი.

წულუკიძის სამშობლო ქალაქი დღეს

(„კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

„ისინი ჩვენთან აღარ არიან, ისინი სამარეში განისვენებენ, მაგრამ მათი მადლიანი სახე, ეკლის გვირგვინით მორთული სახეები ჩვენ, წინ სდგებიან და გვეუბნებიან: **იბრძოლეთ თავისუფლებისათვისო!**

დიდება და სახელი მათ სახეებს!

ისინი წავიდნენ, ისინი გაჩუმდნენ, მაგრამ მათი მიმკრთალი, ციხეში ჯდომით მისუსტებული ხმა ჯერ კიდევ ყურებში გვიტრიალებს: „სისხლი აიღეთო!".

დგეხართ დღეს თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი საშა წულუკიძის საფლავთან და იგონებთ საშას გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე, 1906 წელს, სტალინის მიერ დაწერილ ამ სტრიქონებს.

დგეხართ ამ საფლავთან და საშას „გამომაღვიძებელ, მისუსტებულ ხმაზე" თითქოს გესმით მის მემკვიდრეთა ამაყი პასუხი: „საშა, სიმართლისათვის დაღუპულო ძმაო, ჩვენ შური ვიძიეთ, სისხლი ავიღეთ!".

გაჰქრა ბნელეთი და მას თან წაჰყვა ხონელი ვაჭარ-მევახშე ნადარეიშვილების, ჩხენკელების... დაუსჯელი ბატონობა. ჩაიფერფლა მემამულე ჩხიკვაძის ონავრული თარეში.

ოქტომბრის მადლიან მზეს ნარინჯოვან ბაღნარში ჩაუსვამს ოქტომბრის მზით შობილი, გამოზრდილი და სივაჟკაცემდე მისული ქალაქი წულუკიძე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ხონში არცერთი ფაბრიკა-ქარხანა არ ყოფილა, გარდა იტალიელი მეწარმის უბადრუკი „დუპიონისა". „დუპიონის" ნაცვლად ქალაქში ახლა მუშაობს ბოლშევიკების ხელით ნაგები, საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სიამაყე—აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა.

წულუკიძელებმა სამშობლოს სამსახურში ჩააყენეს აგრეთვე ჩაის ფაბრიკა, ხეტყის, კირის, რამის ორი, ლიმონათის ორი და აგურ-კრამიტის თოთხმეტი ქარხანა. 1939 წელს ქალაქის ამ საწარმოებმა 1926-27 წლების უცვლელ ფასებში ქვეყანას მისცეს ექვსი მილიონი მანეთის პროდუქცია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე 200-მდე კაცი თუ სწავლობდა ხონში და ისინიც თავადაზნაურებისა და ვაჭართა წრიდან გამოსულნი. ამჟამად ქალაქის დილის მყუდროებას არღვევს 2500 ბავშვის მხიარული ჟივილ-ხივილი, სიცილ-კისკისი. ესენი არიან ქალაქის დაწყებითი, არასრული და სრული საშუალო სკოლების მოსწავლეები, ჩვენი ბუმბერაზი სამშობლოს ნორჩი ყლორტები. ქალაქის პედაგოგიური და მუსიკალური სასწავლებლები, მექანიზაციის ტექნიკუმი, მუშათა პედაგოგიური და ინდუსტრიული ფაკულტეტები, რესპუბლიკური ავტოსატრაქტორო და სამედიცინო დების სკოლები ასობით ამრავლებენ ყოველწლიურად სოციალიზმის ქვეყნის სპეციალისტთა შესანიშნავ არმიას.

შეუდარებლად გამრავლდა ჯანმრთელობის კერები. წულუკიძეში არის კარგად მოწყობილი საავადმყოფო. გარდა ამისა, ქალაქის მშრომელთა ჯანმრთელობას ემსახურება რენტგენის კაბინეტი, მალარიასთან ბრძოლის სადგური, სამშობიარო სახლი, სარძეო სამზარეულო, საბავშვო ბაგები და ბაღები.

მწყობრში ჩადგნენ ახალი ნაგებობანი. უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ქალაქს შეემატა ორ-ორ სართულიანი ექვსი ახალი სახლი. პარტიის რაიკომის შენობა ლენინის ქუჩაზე, ახალი სასტუმროს შენობა ლენინის მოედანთან და კავშირების სახლი სტალინის ქუჩაზე ქალაქის სიამაყეს წარმოადგენენ. აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის გასწვრივ ყურადღებას იპყრობს მწვანე ნარგავებით გარშემორტყმული ორ-ორ სართულიანი თეთრი სახლები. ეს მუშათა ახლად აგებული საცხოვრებელი ბინებია, სადაც სოციალისტური შრომის ნოვატორები, სტახანოველები ცხოვრობენ.

წულუკიძელები ხარბად ეწაფებიან გონებრივ და ფიზიკურ კულტურას. ამ საქმეში მათ დიდ სამსახურს უწევს სახელმწიფო თეატრი, კინოთეატრი, კულტურის სახლი, ფეხბურთის ახლად გახსნილი სტადიონი, სპორტდარბაზი...

ადამიანს იზიდავს მარადმწვანე, თვალწარმტაცი ბაღი. უცქერით ბაღის შუაგულში მარმარილოს კვარცხლბეკზე დადგმულ, ძვირფასი ქვისაგან გამოკვეთილ საშას მისუსტებულ სახეს და გაგონდებათ ამ ადამიანის მიერ სიკვდილის ჟამს ასე ღრმა რწმენით წარმოთქმული სიტყვები: „იდეა მაინც გაიმარჯვებს". თქვენც საკუთარ გულში ამბობთ: „იდეამ გაიმარჯვა და მალე მთელ მსოფლიოს დაეუფლება".

ტ. ჩიქოვანი.



ა. წულუკიძის ძეგლი ქუთაისში
ფოტო კვირიკაშვილისა
(საქდესის ფოტოქრონიკა)

ლ. ებანოიძე

დიდი სტალინის თანამებრძოლი

35 წლის წინათ ქალაქ ქუთაისში გარდაიცვალა ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ერთერთი ფუძემდებელი საქართველოსა და ამიერკავკასიაში, დიდი სტალინის სახელოვანი თანამებრძოლი ალექსანდრე (საშა) გიგოს-ძე წულუკიძე. იგი თვრამეტი წლისა იყო, როდესაც თავი დაალწია გიმნაზიაში გამეფებულ სულშემხუთავ რეჟიმს, ჩამოშორდა სოციალურ წრეს, რომელსაც იგი წარმოშობით ეკუთვნოდა, და მთელი არსებით ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში, მუშათა კლასის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

1895 წელს საშა წულუკიძემ კავშირი დაამყარა ქალაქ ქუთაისში არსებულ არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ წრესთან („მესამე დასი"), რომელსაც მიხა ცხაკაია ხელმძღვანელობდა. საშა ბეჯითად შეუდგა თავის თავზე მუშაობას. იგი ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულ წრეში კითხულობდა რეფერატებს, სწავლობდა მარქსიზმს და ეწეოდა მის პროპაგანდას მუშათა მასებში.

„ამხ. წულუკიძემ უმცირესობიდან სხვა ამხანაგებზე ადრე დაიწყო მუშაობა და მასთან ერთად ბრძოლა „მესამე დასის" უმრავლესობასთან"—სწერს თავის წიგნში ამხ. ლ. პ. ბერია.

1896 წელს საშა წულუკიძე ჩამოვიდა თბილისში, სადაც რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა. თბილისიდან წულუკიძე იმავე წელს მიემგზავრება ბაქოს. აქ იგი სოციალ-დემოკრატებს უახლოვდება და მათთან ერთად ეწევა პროპაგანდას.

საშა წულუკიძე გრძნობს, რომ საჭიროა რევოლუციური თეორიის კიდევ უფრო ღრმად დაუფლება, რათა უკეთ ემსახუროს მშრომელ მასებს. მან ამ მხრივაც დაარღვია „მესამე დასის" ოპორტუნისტული უმრავლესობის ტრადიცია და მარქსიზმის შესასწავლად გაემგზავრა არა ევროპაში, არამედ მოსკოვში.

1897 წლის სექტემბრიდან ს. წულუკიძე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელია. იგი მთელი დღეობით მუშაობდა რუმიანცევის მდიდარ ბიბლიოთეკაში, სადაც მაქსიმალურად იყენებდა დროს, და შესძლო მარქსიზმის ძირითადი საკითხების ღრმად შეთვისება.

მარქსიზმის შესწავლასთან ერთად საშა წულუკიძე ეწევა რევოლუციური თეორიის პროპაგანდას. იგი კავშირს ამყარებს მარქსისტულ სტუდენტთა წრეებთან და აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ წრეების მუშაობაში. მოსკოვის ქართველთა სათვისტომო, საშას ჩასვლის შემდეგ, ახალ ელფერს იღებს; სტუდენტობაზე „ლეგალური მარქსიზმის" იდეების გავლენას უპირისპირდება რევოლუციური მარქსიზმის იდეები, რასაც თავგამოდებით იცავს საშა წულუკიძე.

1899 წლის ზაფხულში საშა წულუკიძე მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნდა; აქ იგი უშუალოდ დაუკავშირდა „მესამე დასის" უმცირესობის გამოჩენილ მოღვაწეებს—ამხანაგ სტალინსა და ლ. კეცხოველს და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გააჩაღა ბრძოლა „მესამე დასის" ოპორტუნისტული უმრავლესობის წინააღმდეგ.

საშა წულუკიძე ერთერთი ხელმძღვანელი იყო მთელი რიგი გაფიცვებისა, რითაც შევიდა XX საუკუნის გარიჟრაჟს თბილისის პროლეტარიატი, რომელიც პოლიტიკური თვითშეგნების გამოღვიძების გზას დაადგა და რომელსაც დიდი სტალინი მეთაურობდა.

საშა წულუკიძე ლადო კეცხოველთან ერთად, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, იბრძვის არალეგალური მებრძოლი გაზეთის დაარსებისათვის.

„მესამე დასის" უმცირესობა: წულუკიძე, კეცხოველი, კურნატოვსკი, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, 1900 წელს მოითხოვდა... „მუშებთან წრეებში მეცადინეობიდან გადასვლას მუშათა კლასის მასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობაზე და პროპაგანდიდან — თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის აშკარა ფორმებზე..." *)

„მესამე დასის" უმრავლესობა კი ჩამორჩებოდა მუშათა მოძრაობის მოთხოვნებს და მხოლოდ წრეობრივი მუშაობით კმაყოფილდებოდა.

1899 წლის მიწურულში და 1900 წელს ა. წულუკიძის შემოქმედებითმა კალამმა მოგვცა მთელი რიგი შესანიშნავი სტატიები: „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან", „ოცნება და სინამდვილე", „ჩვენი უთანხმოებანი", „მკითხველის შენიშვნები" და სხვ.

1901 წლის შემოდგომიდან წულუკიძე გადადის დასავლეთ საქართველოს ცენტრში — ქალაქ ქუთაისში, სადაც დიდ რევოლუციურ მუშაობას ეწევა. ა. წულუკიძის ჩასვლის შემდეგ ქუთაისის მუშებს, ხელოსნებსა და ნოქრებს შორის რევოლუციური მოძრაობა თვალსაჩინოდ გამოცოცხლდა. ბათუმის პროლეტარიატის იმ გმირული ბრძოლის ზეგავლენით, რომელსაც გენიალური **სტალინი** ხელმძღვანელობდა, რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოს სოფლებშიც გავრცელდა. **სტალინის** მითითებათა განხორციელების საფუძველზე, საშა წულუკიძემ უდიდესი ორგანიზაციული მუშაობა ჩაატარა. **სტალინის** ხელმძღვანელობით და საშა წულუკიძის აქტიური მონაწილეობით მოეწყო სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები ქუთაისში, ჭიათურაში, სამტრედიაში, ხონში, სამეგრელოსა და სხვა ადგილებში. „საშა ხელმძღვანელობდა სოფლის მუშათა ქუთაისის კომიტეტს", — სწერს თავის მოგონებებში მ. ცხაკაია. მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით, საჭირო გახდა ცალკეული სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების გაერთიანება ერთიან ცენტრად. ამ საფუძველზე შეიქმნა რსდმ პარტიის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, რომლის სულისჩამდგმელი დიდ **სტალინთან** ერთად იყო საშა წულუკიძეც. 1903 წლის მარტში შესდგა კავკასიის სდმ პარტიის პირველი ყრილობა, რომელზედაც მოხდა ბაქოს, თბილისის, ბათუმისა და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტების გაერთიანება ერთიანი პარტიული ხელმძღვანელობის ქვეშ, და, ამგვარად, მოეწყო რსდმ პარტიის კავკასიის საკავშირო კომიტეტი, რომელსაც დიდი **სტალინი** ხელმძღვანელობდა. კავკასიის საკავშირო კომიტეტის გამოჩენილი ხელმძღვანელი იყო საშა წულუკიძე, რომელსაც პარტიულ მეტსახელად „სანდრო" ერქვა. ამ პერიოდში საშას ავტორობით გამოდიოდა და რევოლუციურ მასებში ვრცელდებოდა მრავალი შესანიშნავი სააგიტაციო ფურცელი, პროკლამაცია და მოწოდება.

1903 წელს საშა წულუკიძემ გამოაქვეყნა შესანიშნავი წიგნი სათაურით „ოცნება და სინამდვილე", რომელშიაც გაშლილი ფორმით და ყოველმხრივ არის დასაბუთებული პროლეტარიატის ჰეგემონიისა და მომავალი სახალხო რევოლუციის დიადი ლენინური იდეა. ამ ნაშრომში წულუკიძემ გაანადგურა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური შეხედულებანი „საერთო ნიადაგის" და კლასთა შეთანხმების შესახებ, ის შეხედულებანი, რომლებსაც გაფთრებით იცავდნენ ფედერალისტები (ჯორჯაძე), მენშევიკები (ჟორდანია), ანარქისტები (ჩერქეზიშვილი).

„ამხ. წულუკიძემ თავის ბროშურაში მთლიად გაამსხვრია „საერთო ნიადაგის" ბურჟუაზიული თეორია, მან ამხილა და ულმობელი ლოგიკით დაამტკიცა ამ თეორიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხასიათი". *)

1904 წელს თბილისში გამოიცა ს. წულუკიძის ნაშრომი „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან", რომელმაც სერიოზული როლი შეასრულა საქართველოს მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის კომუნისტური თვითშეგნების გამოღვიძების საქმეში. ეს იყო პირველი ორიგინალური ნაწარმოები ქართულ ენაზე, რომელშიაც პოპულარულად, მაგრამ მთელი მეცნიერული სიღრმით არის გადმოცემული კარლ მარქსის „კაპიტალის" ძირითადი დებულებანი.

1904 წელს და 1905 წლის პირველ ნახევარში წულუკიძე იყო აქტიური მონაწილე და ერთერთი რედაქტორი არალეგალური გაზეთის „პროლეტარიატის ბრძოლისა", რომლის ორგანიზატორი და იდეური ხელმძღვანელი იყო დიდი **სტალინი**. ამ გაზეთის სარედაქციო და სხვა ხელმოუწერელი სტატიების მეტი ნაწილი ამხანაგ **სტალინისა** და მისი ღირსეული თანამებრძოლის ა. წულუკიძის კალამს ეკუთვნის.

1905 წელს ლეგალურ ჟურნალ „მოგზაურში" დაიბეჭდა წულუკიძის მთელი რიგი შესანიშნავი სტატიები, მათ შორის „პატარა შენიშვნა დიდ საკითხზე", და „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები". ეს სტატია მიმართულია ქართველი შოვინისტების წინააღმდეგ. ა. წულუკიძე ამბობდა, რომ პროლეტარიატი არაფერს კარგს არ უნდა მოელოდეს თვითმპყრობელობისაგან. მთავრობის (ცარიზმის) მიერ ნაბოძები ავტონომიის იმედი შოვინისტების მიერ მოგონილი რეაქციული ოცნებაა. ეროვნული საკითხის გადაჭრა დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის რევოლუციურ გარდაქმნასთან. არა საქართველოს ეროვნული ავტონომია, არამედ ყველა ერის მშრომელთა გაერთიანებული კლასობრივი ბრძოლა გაანადგურებს რუსეთის თვითმპყრობელობის დამყაყებულ რეჟიმს და ბურჟუებისა და მემამულეების აღვირახსნილი ექსპლოატაციისაგან გაანთავისუფლებს მრავალ ერს.

1905 წლის 17 იანვარს თბილისის ჟანდარმერიამ გაჩხრიკა ა. წულუკიძის ბინა და, „შედეგების შესაბამისად", იმავე ღამეს დააპატიმრა იგი. მეტეხის საპატიმროს საზიზღარმა პირობებმა საშინლად იმოქმედა წულუკიძის ისედაც დასუსტებულ ჯანმრთელობაზე. ჯანმრთელობის კატასტროფიული მდგომარეობის მიუხედავად, წულუკიძე განთავისუფლებისთანავე მთელი არსებით ჩაება რევოლუციურ ბრძოლაში.

1905 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ბრძოლა მწვავდება არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა რაიონებშიაც. რსდმ პარტიის კავკასიის საკავშირო კომიტეტის დავალებით, წულუკიძე რაიონებში მოგზაურობს და, დიდ ორგანიზაციულ მუშაობასთან ერთად, ბოლშევიზმის იდეების აგიტაციას და პროპაგანდას ეწევა მასებში. წულუკიძემ დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით და მასთან ერთად ისტორიული მნიშვნელობის სადისკუსიო ბრძოლა ჩაატარა მენშევიკების წინააღმდეგ საქართველოს უმთავრეს რაიონებში: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურასა და ხონში.

1905 წლის 8 ივნისს (ახალი სტილით 21 ივნისს) საშა წულუკიძე გარდაიცვალა.

ა. წულუკიძის გარდაცვალების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს კავკასიას. მან უდიდესი მწუხარება გამოიწვია მუშებსა და გლეხებში.

ამხ. ა. წულუკიძის დაკრძალვა (1905 წლის 12 ივნისს ძვ. სტილით) „რომელსაც მნახველთა გადმოცემით, 10.000-ზე მეტი კაცი დაესწრო, გადაიქცა გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ამხ. წულუკიძის დაკრძალვაზე ამხანაგი **სტალინი** გამოვიდა ბრწყინვალე სიტყვით, რომელშიაც მან, საშა წულუკიძის მუშაობის შეფასებასთან ერთად, გადაშალა, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ამოცანები და სურათი. ამხანაგი **სტალინის** სიტყვას უდიდესი ბოლშევიკური გამარევოლუციურებელი მნიშვნელობა ჰქონდა". *)

ს. წულუკიძის გარდაცვალების პირველ წლისთავზე დიდმა **სტალინმა** ბოლშევიკურ გაზეთ „ახალ ცხოვრებაში" შესანიშნავი სტრიქონები მიუძღვნა უდროოდ დაღუპული ლენინელის ხსოვნას. ამხანაგი **სტალინი** სწერდა:

„არიან ისეთი პირები, რომელთა სახელს პროლეტარიატი ვერ დაივიწყებს.

ისინი მოკვდნენ, ისინი სამუდამოდ დაგვშორდნენ, მაგრამ მათი წმიდა აჩრდილები თავს დაგვტრიალებენ და ყურში ჩაგვჩურჩულებენ: **იბრძოლეთ სოციალიზმისთვისო!**

დიდება და სახელი მათ აჩრდილებს!

ისინი ჩვენთან აღარ არიან, ისინი სამარეში განისვენებენ, მაგრამ მათი მადლიანი სახე, ეკლის გვირგვინით მორთული სახეები ჩვენ წინ სდგებიან და გვეუბნებიან: **იბრძოლეთ თავისუფლებისათვისო!**

დიდება და სახელი მათ სახეებს!

ისინი წავიდნენ, ისინი გაჩუმდნენ, მაგრამ მათი მიმკრთალი, ციხეში ჯდომით მისუსტებული ხმა ჯერ კიდევ ყურებში გვიტრიალებს: **სისხლი აიღეთო!**

დიდება და სახელი მათს გამომაღვიძებელ ხმას!

ალექსანდრე წულუკიძე ასეთ პირებს ეკუთვნის და მას ვერ დაივიწყებს პროლეტარიატი".

ს. წულუკიძის გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ ამხანაგმა ლ. ბერიამ თბილისის პარტაქტივის კრებაზე გაკეთებულ თავის ისტორიულ მოხსენებაში, ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა ისტორიის ძირითადი საკითხების ბოლშევიკურ ანალიზთან ერთად, ამ ორგანიზაციების ერთერთი ფუძემდებლის ს. წულუკიძის სტალინური დახასიათება მოგვცა.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ **„საქართველოსა და ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ფუძემდებელი არის ამხანაგი სტალინი ამხ. ს. წულუკიძესთან და ლადო კეცხოველთან და თბილისში მყოფ რუს სოციალ-დემოკრატებთან (კურნატოვსკი და სხვ.) ერთად."** *).

ამით მან აღადგინა ისტორიული ჭეშმარიტება ს. წულუკიძის შესახებ და დიდებით შემოსა მისი უკვდავი სახელი გამარჯვებული ხალხის ხსოვნაში.

---

*) ლ. პ. ბერია. „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", გვ. 15.

*) ლ. პ. ბერია. „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", გვ. 30.

*) ლ. ბერია. „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", გვ. 33.

*) ლ. ბერია. „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", გვ. 44.

საბჭოთა ჯარის შესვლა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ფარგლებში

კაუნასი, 19 ივნისი (საკდესი). გუშინ და დღეს კაუნასში გაიარა ყველაგვარეობის იარაღის საბჭოთა ჯარმა.

ლიტვის ფარგლებში წითელი არმიის ნაწილების შესვლამ დიდი გამოცოცხლება შეიტანა ლიტვის ქალაქების ცხოვრებაში, ხალხი ქუჩებში გამოვიდა. იგი გამოხატავს თავის სიხარულს ახალი მთავრობის შექმნის გამო, რომლის დეკლარაციასაც დიდი აღფრთოვანებით შეეგებნენ, გამოხატავს დიდ მადლიერებას საბჭოთა კავშირისადმი ლიტვის სახელმწიფოს უშიშროებაზე ზრუნვისათვის.

ქალაქისა და სოფლის ინტელიგენცია, მუშები და გლეხები თავიანთ სიმპატიებს გამოხატავენ საბჭოთა კავშირისა და წითელი არმიისადმი.

ხალხთან ერთად წითელ არმიას ესალმებიან ლიტვის არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები. მათ მოსწონთ და მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა ჯარის საბრძოლო ტექნიკას, განსწავლულობასა და დისციპლინას.

მთელი მოსახლეობა აღშფოთებას გამოსთქვამს სმეტონის, სკუჩასისა და სხვათა პლუტოკრატული ხროვის დანაშაულებრივი საქმიანობის გამო და მოითხოვს უაღრესად მჭიდრო და გულწრფელი ურთიერთობის დამყარებას თავის მეგობართან — საბჭოთა კავშირთან.

გაზეთი „ლიეტუვოს აიდასი" დღევანდელ მოწინავე სტატიაში, რომელიც მიძღვნილია პრემიერ პალეცკისის სიტყვისადმი, სწერს:

„18 ივნისის დღე ლიტვის ხალხის ისტორიაში შევა. დაიმსხვრა ბორკილები, რომლითაც შებოჭილი იყვნენ მშრომელი ხალხის თავისუფლებისა და უფლებისათვის მებრძოლნი. დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე, ვიდრე სმეტონის საზღვარგარეთ პანიკურ გაქცევამდე, ხალხის თავისუფლებისა და უფლებისათვის მებრძოლთ საპატიმროებში ალპობდნენ".

შემდეგ გაზეთი სწერს: „უახლოეს ხანში შეცვლილ იქნება ქვეყნის პოლიტიკური სისტემა. მოეწყობა მშრომელი ხალხის ინტერესების შესაბამისი სისტემა".

ეხება რა საგარეო პოლიტიკის საკითხებს, „ლიეტუვოს აიდასი" აცხადებს: „ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ნამდვილად გულწრფელი და მეგობრული იქნება. ყველა სხვა სახელმწიფოსთან მთავრობა დაამყარებს ნორმალურ ურთიერთობას".

გაზეთი „ლიეტუვოს ჟინიოსი" პალეცკისის სიტყვის გამო სწერს: „ახლა ცხოვრება უნდა წარიმართოს დიდ მეგობართან — საბჭოთა კავშირთან დადებული ურთიერთდახმარების ხელშეკრულების უკეთესად, უაღრესად ლოიალურად და ენერგიულად შესრულების გზით".

რიგა, 18 ივნისი (საკდესი). მესამე დღეა, რაც ლატვიის მოსახლეობაში სადღესასწაულო განწყობილება სუფევს. ყველგან, სადაც კი საბჭოთა ჯარი შედის, ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებული ყურადღებითა და გულთბილი მზრუნველობით ეხვევა გარს წითელარმიელებსა და მეთაურებს. მოსახლეობა აშკარად გამოხატავს თავის მეგობრულ გრძნობებს. ათასობით ადამიანი საუბარს მართავს წითელი არმიის მებრძოლებსა და მეთაურებთან და ყოველნაირად გამოსთქვამს, რომ ლატვიელი ხალხი მუდამ ისწრაფვოდა მეგობრული ურთიერთობა დაეცვა დიად საბჭოთა კავშირთან.

რიგაში საბჭოთა ჯარის შესვლის დღეს მოსახლეობა განთიადიდანვე ქუჩებში გამოეფინა. ყოველი საბჭოთა ტანკისა და ჯავშან ავტომობილის გარშემო თავს იყრიდნენ მოქალაქენი. ისინი მხურვალედ ესალმებოდნენ საბჭოთა ტანკისტებს, ყვავილებს სთავაზობდნენ და ეხვეოდნენ მათ. ბევრი სიხარულით სტიროდა. საბჭოთა კავშირისადმი სიმპატიების დემონსტრაციამ ფართო მასშტაბი მიიღო.

გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!", „გაუმარჯოს წითელ არმიას!".

ლატვიის მოქალაქეთა ყველა განცხადება იმას მოწმობს, რომ მოსახლეობის ფართო ფენებს კარგად ესმით, რომ ლატვია ისე, როგორც ლიტვა და ესტონეთი ომის საშინელებისაგან განთავისუფლდა მხოლოდ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის წყალობით. „ჩვენ მადლობას გწირავთ იმისათვის, რომ თქვენ იცავთ ჩვენს უშიშროებას", — არაერთხელ განაცხადეს მებრძოლებსა და მეთაურებთან საუბრის დროს სხვადასხვა საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლებმა.

დიდი მოწონება გამოიწვია რიგის მცხოვრებლებში საბჭოთა ჯარის სატანკო კოლონამ, რომელიც რიგაში შევიდა ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთის განაპირიდან.

„შეხედით, რა ძალა, დისციპლინა და წესრიგია!" — ამბობდნენ მოქალაქენი.

საბჭოთა ჯარის შესვლასთან დაკავშირებით ლატვიის დედაქალაქის ქუჩებში მხიარულება გრძელდებოდა შუაღამემდე.

ტალინი, 19 ივნისი (საკდესი). გაზეთი „რახვალეხტი" დღეს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ესტონეთის მოსახლეობა განსაკუთრებით გულთბილად შეხვდა ესტონეთში შესულ წითელი არმიის ნაწილებს.

„ყველგან, სადაც კი საბჭოთა კავშირის ჯარი მივიდა, — სწერს გაზეთი, — ჩვენი ხალხი მას მშვიდობისმოყვარულად და მეგობრულად შეხვდა. ეს მეგობრული დამოკიდებულება მომავალშიც განვითარდება". ტალინსა და ესტონეთის სხვა ცენტრებში, სადაც წითელი არმიის ნაწილები შევიდნენ, მოსახლეობაში უმაგალითო აღფრთოვანებაა.

ტალინის სხვადასხვა პუნქტებში ეს აღფრთოვანება იმით გამოიხატება, რომ ასობით ადამიანები ქუჩაში გამოდიან, სიხარულით მიესალმებიან წითელი არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს და უამრავ შეკითხვებს აძლევენ მათ.

სატანკო ეკიპაჟის გარშემო დიდძალი ხალხი იყრის თავს და იწყება საუბარი. ათობით ადამიანები ერთმანეთს არ აცლიან თავისი გრძნობებისა და სურვილების გამოხატვას. „გადაეცით მოსკოვს, რომ ჩვენ სულითა და გულით მადლობას ვწირავთ მას იმისათვის, რომ მან ომისაგან გვიხსნა".

„ვიცით, რომ ახლა ჩვენ მტკიცე დამცველი გვყავს".

„გადაეცით ჩვენი გულწრფელი სალამი ჩვენს ბელადებს სტალინსა და მოლოტოვს".

ის ყურადღება, რასაც წითელი არმიის მებრძოლებისა და მეთაურებისადმი იჩენენ, ხშირად ამაღელვებელ ფორმებს იღებს. აი, მიდის მოხუცი დედაკაცი, რომელსაც თავისი ორი შვილიშვილი მიჰყავს, თვითეულ მათგანს ხელში მინდვრის ყვავილები უჭირავს. ბევშვები მეტანკეებთან მიდიან და ყვავილებს სთავაზობენ, ხოლო ქალი თავაზიანად ამბობს: „ეს ყვავილები დღეს ჩვენ თვითონ მოვკრიფეთ. მიიღეთ ჩვენი მცირედი საჩუქარი".

წითელი არმიის ნაწილების ბევრი ქვედანაყოფი დღეს ტალინში სასწავლო მეცადინეობას შეუდგა. დანარჩენი ქვედანაყოფები ამთავრებენ დაბინავებისათვის საჭირო ღონისძიებებს.

15 ათასიანი მიტინგი კაუნასში

კაუნასი, 19 ივნისი (საკდესი). დღეს, საღამოთი, კაუნასში შესდგა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ლიტვის საპატიმროებიდან და საკონცენტრაციო ბანაკებიდან განთავისუფლებულ პოლიტიკურ პატიმრებთან შეხვედრას. მიტინგს დაესწრო 15 ათასი კაუნასელი მუშა, მოსამსახურე და ინტელიგენტი. მიტინგზე გამოვიდნენ ყოფილი პოლიტიკური პატიმრები, რომელთაც დამსწრენი შეხვდნენ მქუხარე ტაშითა და მისალმებებით ლიტვურ, რუსულ და ებრაულ ენებზე. შემდეგ მხურვალე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მუშები, მეცნიერები, მწერლები, მსახიობები და სტუდენტები. ყველა ისინი ერთსულოვნად და გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა კავშირსა და მის სამშვიდობო პოლიტიკას.

რიგის პოლიციის უხეირო გამოსვლა

რიგა, 19 ივნისი (საკდესი). როგორც გამოქვეყნებული იყო, რიგის ზოგიერთ რაიონში მოსახლეობამ საბჭოთა კავშირისა და წითელი არმიის მიმართ თავისი სიმპატიების გამოსახატველად უდიდესი დემონსტრაცია მოაწყო, ამის გამო პოლიციამ მტრული დამოკიდებულება გამოიჩინა მოსახლეობისადმი, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა რამდენიმე ინციდენტს, რამაც მსხვერპლი გამოიწვია.

18 ივნისს რიგის პრესაში გამოქვეყნდა შენიშვნა, რომელიც, როგორც ჩანს, პოლიციელთა წრეებიდან გამომდინარეობს. ამ შენიშვნაში ნათქვამი იყო, რომ რიგაში გამართულმა სახალხო დემონსტრაციამ ვითომდა „არასასურველი შთაბეჭდილება" მოახდინა საბჭოთა ჯარზე, რის გამო საბჭოთა სარდლობამ თითქოს სათანადო წარდგინებით მიმართა მთავრობის დაწესებულებებს.

დღეს სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ ლატვიაში პრესის საშუალებით გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

„გუშინდელ გაზეთებში მოთავსებული იყო შენიშვნა სათაურით: „ღონისძიებანი წესრიგის დასაცავად რიგაში საბჭოთა ჯარის შესვლის დროს". ამ შენიშვნაში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ ხალხის საქციელმა უაღრესად არასასურველი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა ჯარზე, რომლის ხელმძღვანელობამაც თითქოს ლატვიის დაწესებულებებს სთხოვა ხელი შეუშალონ ჯარის მსვლელობის დარღვევას. სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობა აცხადებს რომ საბჭოთა სარდლობას ასეთი თხოვნით არ მიუმართავს ლატვიის დაწესებულებებისათვის და რომ ეს ცნობა სრულიადაც არ შეეფერება სინამდვილეს. მოსახლეობას არ შეუშლია ხელი ჯარის წინსვლისათვის და საბჭოთა სარდლობა სავსებით დაკმაყოფილებულია მოსახლეობის გულთბილი შეხვედრითა და მისალმებით".

ლიტვის გაზეთი სმეტონის რეჟიმის შესახებ

კაუნასი, 19 ივნისი (საკდესი). კაუნასში გამოვიდა ახალი გაზეთი „ლიაუდიეს ბალსასი", („ხალხის ხმა"). მოწინავე სტატიაში სათაურით „გაუმარჯოს ხალხის ხელისუფლებას", გაზეთი სწერს: „პლუტოკრატიის საზიზღარი რეჟიმი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ახშობდა და ანადგურებდა ახალგაზრდა ლიტვას, დაემხო. დაემხო, როგორც ძველი და ძირმომპალი ჯირკი, რომელიც თუმცა ლამაზი მოსჩანდა, მაგრამ თავით-ბოლომდე დამპალი იყო. პირსისხლიანი სმეტონა, ყველა მჩაგვრელისა და მფლანგველის ბელადი, სამარცხვინოდ გაიქცა საზღვარგარეთ". მეორე სტატიაში „ლიაუდიეს ბალსასი" სწერს: „ლიტველი ხალხი იწყებს თავისი ცხოვრების ახალ ხანას. ეს დიადი დღეა ლიტველი ხალხის ისტორიაში".

„ლიაუდიეს ბალსასმა" გამოაქვეყნა აგრეთვე ცნობილი ლიტველი მხატვრის ჟუკასის დიდი კარიკატურა, რომელიც გამოხატავს სმეტონის გაქცევას საზღვარგარეთ. დაბნეული სმეტონა, რომელსაც გაუხდია ფეხსაცმელი და აუწევია შარვალი, გადარბის ღელეს სანაპირო ბოძთან გერმანიის საზღვარზე.

ახალი დანიშვნები ლიტვაში

კაუნასი, 19 ივნისი (საკდესი). ლიტვის დეპეშათა სააგენტოს დირექტორი გუსტაიტისი გადაყენებულია თანამდებობიდან. მის ადგილზე დაინიშნა ჟურნალისტი კორსაკასი.

ლიტვის ოფიციოზის „ლიეტუვოს აიდასის" რედაქტორად დანიშნულია მწერალი-ჟურნალისტი იონას შიმკუსი.

თანამდებობიდან გადაყენებულია აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდვითი სიტყვის დირექტორი სტანკუნასი. მის ადგილას დაინიშნა ჟურნალისტი კეუნაიტისი. წინათ იგი იყო ახალგაზრდობის პროგრესიული ჟურნალის „იაუნიმასის" რედაქტორად. ეს ჟურნალი მიმდინარე წლის მარტში დახურეს იმისათვის, რომ მან გამოაქვეყნა ისეთი სტატიები, რომლებიც იცავდნენ სსრ კავშირთან დადებულ ურთიერთდახმარების პაქტსა და მშვიდობიანობის საბჭოთა პოლიტიკას.

მეჩის გედვილა — ლიტვის შინაგან საქმეთა მინისტრი

კაუნასი, 19 ივნისი (საკდესი). როგორც ლიტვის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ლიტვის პრემიერ-მინისტრმა პალეცკისმა დღეს ლიტვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნა მეჩის გედვილა.

* * *

მეჩის გედვილა დაიბადა 1901 წელს. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 3 წლის განმავლობაში იყო პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი. მასწავლებლობდა ლიტვურ სკოლაში ქალაქ პალანგენში. 1928 წელს რედაქტორობდა გაზეთ „ჟემაიტისს" ქალაქ ტელშიაიში. 1931 წლიდან იყო საავადმყოფოების სალაროს დირექტორი. გედვილა ლიტვის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეა.

ანტანას ვენცლოვა — ლიტვის განათლების მინისტრი

კაუნასი, 19 ივნისი (საკდესი). როგორც ლიტვის დეპეშათა სააგენტო იუწყება, განათლების მინისტრად, რომლის მოვალეობას დროებით ასრულებდა ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი კრევე-მიცკევიჩიუსი, დაინიშნა ანტანას ვენცლოვა.

* * *

განათლების მინისტრი ანტანას ვენცლოვა დაიბადა 1906 წელს. იგი ცნობილი ლიტველი პოეტი და პუბლიცისტია. ლიტვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ლიტერატურისა და ენის მასწავლებლად იყო კლაიპედისა და კაუნასის გიმნაზიებში. სალიტერატურო მოღვაწეობას 15 წელიწადზე მეტია, რაც ეწევა. ლიტვურ ენაზე სთარგმნა პუშკინის, გორკის, დიკენსის, მოპასანისა და სხვ. მთელი რიგი ნაწარმოებნი. სმეტონას მმართველი ხროვის წინააღმდეგ გამოსვლისათვის ვენცლოვას აუკრძალეს მასწავლებლობა გიმნაზიაში.

ომი დასავლეთ ევროპაში

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 19 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ შვეიცარიის ქალაქ ლე ლოკლის მახლობლად შვეიცარიის საზღვარი გადალახა საფრანგეთის დაახლოებით 2 ათასმა ჯარისკაცმა, რომლებიც განიარაღებულ და ინტერნირებულ არიან.

საზღვარზე გადასულთა შორის არის გენერალი და სამხედრო-საჰაერო ძალთა შტაბის რამდენიმე ოფიცერი.

17 ივნისს, ღამით, კელნზე მტრის ავიაციის თავდასხმის დროს, მოკლულ იქნა 7 კაცი და დაიჭრა მრავალი. ზოგიერთი საცხოვრებელი სახლი დანგრეული და დაზიანებულია.

საფრანგეთ-ინგლისის ცნობები

ლონდონი, 19 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს საფრანგეთის სარდლობის შემდეგს ცნობას: „მოწინააღმდეგემ დღეს შესძლო წინ წაწევა ნორმანდიისა და ბრეტანის შუაგულისაკენ. ავანგარდებმა მიაღწიეს შერბურგსა და რენს. ძლიერი ბრძოლა ხდებოდა შატოდენის სამხრეთით. ლუარასა და ვოგეზებს შორის მოწინააღმდეგე განაგრძობდა წინწაწევას იურისაკენ. ლორენსა და ელზასში ჩვენი ჯარის ნაწილები მოწინააღმდეგეს აკავებენ".

ლონდონი, 19 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის რადიომ გუშინ გადასცა საფრანგეთში შექმნილი საომარი მდგომარეობის შემდეგი მიმოხილვა: „ქვედა სენაზე ბრძოლის შემდეგ საფრანგეთის არმიამ დაიხია ევრისა და შარტრისაკენ, და ბრძოლა ახლა სწარმოებს ავრანში. ლუარაზე მყოფმა საფრანგეთის მეორე არმიამ, რომელიც იცავს პოზიციებს ტურიდან ლა შარიტემდე (ლუარაზე), ბლუამდე და ორლეანამდე და რომელსაც უკავია ამ ქალაქების ნაწილი ლუარის ერთ ნაპირზე, დიდი ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგეს, რომელიც ცდილობდა ლუარის გადალახვას. შემდეგ არის დიდი გარღვეული ზოლი, რომელიც შეიქმნა შატო-ტიერისა და ტარდენუას დაკარგვის გამო. აქ გერმანელები მიადგნენ ნევერს, საიდანაც წაიწიეს ოტენამდე, რომელიც, ალბათ, უკვე მათ ხელშია. დიჟონის რაიონში მტრის ჯარის ერთი ჯგუფი განლაგებულია მდინარე სონის ველზე ქალაქ შალონ-სიურ-სონამდე, მეორე ჯგუფი უტევს შვეიცარიის მიმართულებით. ალპებში მყოფი ჩვენი მეორე არმიის ფლანგი ღიაა სონის გარღვევის გამო. სარდლობა იღებს ზომებს, რათა ეს საფრთხე თავიდან აიცილოს".

ლონდონი, 19 ივნისი (საკდესი). ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ გასულ ღამეს მოწინააღმდეგის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს აღმოსავლეთ ინგლისის რაიონებს. ტემზაზე ჩამოყრილ იქნა ცეცხლწამკიდი ყუმბარები. მოკლულია 11 კაცი, დაჭრილია 14, სამხედრო ობიექტები არ დაზარალებულა. ჩამოგდებულ იქნა მოწინააღმდეგის 7 თვითმფრინავი.

ლონდონი, 19 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს გერმანიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე ინგლისის ყუმბარმშენთა თავდასხმის დაწვრილებით ცნობებს. ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს სამხედრო ობიექტებს ჰელზენკირხენში, ჰომბურგში, ვანში, ეიკელში, ჰესენში, დოლბერგენში, ჰამბურგში, აახენში, დუისბურგში, რაიდტში, კელნსა და კობლენცში. ყუმბარები აგრეთვე ჩამოჰყარეს ამსტერდამის აეროდრომზედაც. ინგლისის ორი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

მდგომარეობა პარიზში

ნიუ-იორკი, 18 ივნისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლოჰნერი, რომელიც იმყოფება გერმანიის არმიასთან, რომელმაც მოახდინა პარიზის ოკუპაცია, აღნიშნავს, რომ „დაიწყო საფრანგეთის არმიის დაშლა". „გერმანიის სამხედრო წრეებში იუწყებიან, რომ საფრანგეთის რამდენიმე დივიზიამ, რომელიც სადღაც პარიზის სამხრეთით იბრძოდა, მოულოდნელად დაჰყარა იარაღი და გაემართა პარიზისაკენ, სადაც მათმა წარმომადგენლებმა გენერალ ფონ-შტუდნიცს სთხოვეს ნება დაერთო ჯარისკაცებისათვის დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ოჯახებში".

ათასობით ლტოლვილი ბრუნდება ქალაქში. მაღაზიები ნორმალურად ვაჭრობენ. საფრანგეთის ბაირაღები გამოფენილია ქალაქის მთავარ შენობებზე.

კორესპონდენტი აღნიშნავს აგრეთვე, რომ გერმანელები აღადგენენ ბომბარდირების დროს დაზიანებულ ლე ბურჟეს აეროდრომს.

აკაკი წერეთელი
აკაკის
რჩეული ლექსები
წერეთლისა

მზადება აკაკი წერეთლის იუბილესათვის

აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის შესრულების თარიღის აღსანიშნავად ენერგიულად ემზადებიან თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იუბილეს ჩასატარებლად გამოყოფილია საიუბილეო კომისია პროფ. მ. ზანდუკელის ხელმძღვანელობით.

იუბილეს დღეებში პროფ. რაზმაძის სახელობის აუდიტორიაში მოეწყობა დიდი გამოფენა თემაზე „აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება". გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების ყველა პერიოდი დაწყებული ბავშვობის წლებიდან. ცალკე იქნება წარმოდგენილი პოეტის თხზულებათა აკადემიური გამოცემები, ავტოგრაფები, სურათები და სხვა ექსპონატები, რომელთა რაოდენობა 300 აღემატება.

ყველა ფაკულტეტზე უკვე ჩატარდა მოხსენებები აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

უნივერსიტეტის დრამატიულმა კოლექტივმა დასადგმელად მოამზადა იუბილარის პიესა „პატარა კახი".

გარდა ამისა, ქართული ლიტერატურის სტუდენტთა სამეცნიერო წრეში სტუდენტების მიერ წაკითხული იქნება მთელი რიგი მოხსენებები აკაკი წერეთლის შესახებ.

იუბილეს დღეებში მოეწყობა სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ექსკურსია აკაკი წერეთლის სამშობლოში—სოფ. სხვიტორში, სადაც დაათვალიერებენ პოეტის სახლს და აკაკისადმი მიძღვნილ გამოფენას.

ი. სავაძე.

* * *

ბათუმი, 19 ივნისი (საქდესი). აჭარის ყველა რაიონში გაცხოველებული მზადებაა აკაკი წერეთლის იუბილესათვის.

17 ივნისს ქედის ვ. მაიაკოვსკის სახელობის კულტურის სახლში შესდგა ლიტერატურული საღამო, რომელიც მიეძღვნა პოეტის იუბილეს. საღამოს დაესწრო 400 კოლმეურნე, მოწაფეები, პედაგოგები. ლიტერატურული საღამოები მოეწყო აგრეთვე ხულოსა და ქობულეთში.

ბათუმის სახალხო ბიბლიოთეკამ მოაწყო აკაკის ცხოვრებისა, შემოქმედებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა.

23 ივნისს ბათუმში შესდგება საიუბილეო საზეიმო სხდომა. სახელმწიფო თეატრი დასადგმელად ამზადებს აკაკის დრამას — „პატარა კახი".

* * *

ხაშური, 19 ივნისი (საქდესი). ხაშური და მისი რაიონი გაცხოველებით ემზადებიან დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავის იუბილესათვის. საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ეწყობა მოხსენებები და საუბრები პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

საიუბილეო საღამოები შესდგა სურამის კლუბში, ხაშურის რკინიგზელთა კლუბში და სხვ.

ხაშურის კულტურის სახლში და სოფ. წაღვლის საკოლმეურნეო კლუბში გაიხსნა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენები, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი სხვადასხვა დროს გამოცემული აკაკის ნაწარმოებები.

იუბილეს დღეებში ხაშურის სახელმწიფო თეატრი დასდგამს აკაკის ისტორიულ პიესას — „პატარა კახი".

აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემა მოზრდილთა და ბავშვთათვის

აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა ერთ ტომად გამოსცემს იუბილარის პოემების, ლექსებისა და მოთხრობების კრებულს მოზრდილთა და მცირეწლოვან ბავშვთათვის. ცალკე წიგნებად გამოიცემა აკაკი წერეთლის ნაწარმოები.

მეან-გინეკოლოგთა რესპუბლიკური თათბირი

საქ. ჯანსახკომის სამშობიარო დახმარების სამმართველო 22 ივნისს თბილისში იწვევს მეან-გინეკოლოგთა რესპუბლიკურ თათბირს.

თათბირის დღისწესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: აბორტების დინამიკა და აბორტებთან ბრძოლის ორგანიზაცია, უმტკივნეულო მშობიარობის მასობრივი გამოყენება, საკოლმეურნეო სამშობიარო სახლების მუშაობა, პლაცენტარული სისხლის ორგანიზაცია და გამოყენება.

თათბირზე მოხსენებებს გააკეთებენ პროფესორები გ. ლამბარაშვილი, გ. მუხაძე, ლ. ელიაშვილი და სხვ.

თათბირზე მოწვეული არიან რაიონების ჯანმრთელობის დარგის მუშაკები, მეან-გინეკოლოგები, მეცნიერი მუშაკები და სასამართლო ორგანოების წარმომადგენლები.

თათბირი გაიხსნება ტუბინსტიტუტის შენობაში (მელიქიშვილის ქ. № 16). თათბირის მუშაობა ორ დღეს გასტანს.


ნესტორ ესებუას და კოლა გლდანელის
ჭიდაობის

განცხადებების მიღება უმაღლეს სასწავლებლებში

20 ივნისს დაიწყო საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა განცხადებების მიღება. წელს მარტო განსახკომის სისტემის უმაღლესი სკოლების სხვადასხვა ფაკულტეტებზე ოთხიათასამდე სტუდენტს მიიღებენ.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული იქნება 1.020 სტუდენტი. უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე მიღებული იქნება 70 კაცი, ბიოლოგიისაზე—70, ფიზიკა-მათემატიკისაზე—120 კაცი, ფილოლოგიის ფაკულტეტის ყველა სექტორზე—300, ფილოსოფიურზე—50 კაცი და სხვ.

პირველ დღეს უნივერსიტეტში 500-მდე განცხადება შემოვიდა, უმთავრესად საშუალო სკოლის ფრიადოსნებისა. მათთვის მოწყობილია საკონსულტაციო-საცნობარო მაგიდა.

საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტზე მიიღებენ 450 კაცს. განცხადებების მიღება აქაც გუშინ საღამოს დაიწყო.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა** — „სევილიელი დალაქი", **მარჯანიშვილის** სახელობის — „ბედნიერება", **გრიბოედოვის** სახელობის — „ზოგჯერ ბრძენიც შესცდება", **საქესტრადის საზაფხულო თეატრი** — მოსკოვში სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილე სომხური ჯაზის გასტროლი, **ღია ესტრადა** — საღამო-კონცერტი. **მოზარდ მაყურებელთა თეატრი** — „პატარა კახი".

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „იხმაურე ქალაქო", **ოქტომბერი** — „აზამატ", **დამკვრელი** (ზაფხულის) — „იხმაური ქალაქო", **დამკვრელი** (ზამთრის) — „იხმაურე ქალაქო", **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „კონცერტი ეკრანზე", **კომკავშირელი** (ზამთრის) — „მშვენიერი ვასილისა", **ლუქსემბურგის სახ.** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **26 კომ. სახ.** (ზაფხულის) — „დაგვიანებული სასიძო", **26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „დაგვიანებული სასიძო", **კომინტერნი** — „კატერინა", **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „გამანადგურებლები".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში
1940-41 სასწავლო. წელს მიღების პირობები

1. მიღება იწარმოებს ა) **სანიტარულ-ჰიგიენურ,** ბ) **პედიატრიულ** და გ) **სამკურნალო ფაკულტეტებზე** (სექტორი რუსულ ენაზე სწავლებით).

2. განცხადებანი შემსვლელთაგან მიიღება 20 ივნისიდან 31 ივლისამდე, ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა, დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე.

3. შემსვლელს შემოაქვს სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (თბილისი, ლუნაჩარსკის ქ. № 12) განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: ა) ავტობიოგრაფია, ბ) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), გ) პასპორტი (წარედგინება პირადად გამოცხადებისას), დ) მოწმობა დაბადების შესახებ (მეტრიკული), ე) სამი ფოტოსურათი, ზომით 3×4 სმ., ვ) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ.

შენიშვნა: ავტობიოგრაფიაში უნდა იყოს შემდეგი ცნობები ასეთი თანმიმდევრობით: 1) დაბადების თარიღი (წელი, თვე, რიცხვი) და ადგილი, 2) ეროვნება, 3) ქვეშევრდომობა, 4) პარტიული მდგომარეობა, 5) განათლება, 6) პროფესია და სპეციალობა, 7) საწარმოო სტაჟი, 8) ოჯახური მდგომარეობა, 9) ზუსტი მისამართი (რაიონის, სოფლის ქალაქის და ქუჩის აღნიშვნა), 10) მშობლების პროფესია კოლმეურნე, მოსამსახურე და სხვ.).

4. განცხადებაში უსათუოდ უნდა იყოს აღნიშნული ფაკულტეტი, რომელზეც სურს შემსვლელს ჩარიცხვა.

5. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-ლი აგვისტოდან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა 20 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

6. მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საბჭოთა კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე, რომელთაც მიღებული აქვთ საშუალო განათლება (ათწლედი, მუშფაკი, ტექნიკუმი, მოზრდილთა საშუალო სკოლა, საშუალო სამედიცინო სკოლა, სამხედრო სკოლა), ან აქვთ ექსტერნატის წესით საშუალო განათლების მიღების ატესტატი.

შენიშვნა: ა) გამოცდებზე აგრეთვე დაიშვებიან 1935 წლამდე ცხრაწლედ დამთავრებულნი, ბ) ტექნიკუმ დამთავრებულნი გამოცდებზე დაიშვებიან მათთვის სავალდებულო 3 წლის საწარმოო სტაჟის შემდეგ. ეს სტაჟი არ მოეთხოვება იმ პირებს, რომლებიც შეყვანილი არიან თვითეული ტექნიკუმის გამოშვების 5 პროცენტში, თანახმად ცაკ-ის და სახკომსაბჭოს 1933 წლის 15/IX-ის დადგენილებისა, გ) ტექნიკუმდამთავრებულნი განცხადებას თან ურთავენ ცნობას სავალდებულო სტაჟის გავლის შესახებ.

7. შემომსვლელნი აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ა) ქართული ენა (წერითი და ზეპირი), ბ) რუსული ენა (წერითი და ზეპირი), გ) სსრკ ხალხთა ისტორია და სსრკ კონსტიტუცია, დ) მათემატიკა (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია – წერითი და ზეპირი), ე) ფიზიკა, ვ) ქიმია, ზ) ერთი უცხო ენა (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული).

8. მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

9. უგამოცდოდ მიიღებიან: ა) ათწლედ დამთავრებული ფრიადოსნები, ბ) 1940 წელს მუშფაკ და მოზრდილთა საშუალო სკოლა დამთავრებულნი, რომელთაც ყველა დისციპლინაში აქვთ ნიშანი „ფრიადი", გარდა ხაზვისა, ხატვისა და ფიზკულტურისა, გ) ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სკოლა (ათწლედი) ფრიადზე ექსტერნატის წესით.

10. მისაღებ გამოცდებზე დაშვებულთა, აგრეთვე ფრიადოსანთა შემოწმება სამედიცინო კომისიის მიერ იწარმოებს 25 ივნისიდან ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა (ლუნაჩარსკის ქ., № 12).

11. მეცადინეობა ყველა ფაკულტეტზე დაიწყება 1-ლ სექტემბერს (თუ ინსტიტუტში ჩარიცხული არ გამოცხადდება 1-ლ სექტემბერს, ის ინსტიტუტიდან მოიხსნება).

12. ცნობების მიღება შესვლის შესახებ შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტში ყოველდღე 10-დან 1 საათამდე სათანადო დეკანატში (ლუნაჩარსკის ქ., № 12).

13. მისაღები გამოცდების პროგრამები საერთოა ყველა სასწავლებელთათვის.

300 **დირექცია.**

საქესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი,
პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი
21 ივნისს
მოსკოვში სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილე
სომხური ჯაზის
უკანასკნელი გასტროლები.
მხატვ. ხელმძღ. რესპ. დამს. მოღვაწე ორდენოსანი **აივაზიანი**
დირიჟორი ორდენოსანი ვართაზარიანი.

ღია ესტრადა
ესტრადის მსახიობთა
საღამო-კონცერტი
ესტრადაზე დასწრება ბაღის შესასვლელი ბილეთებით.
ბაღში დაუკრავს სასულე ორკესტრი **ხანაგოვის** ხელმძღვანელობით.
ბაღში იყიდება ლუდი.

22 და 23 ივნისს **მოსკოვის დრამის ანსამბლის გასტროლები**
რესპ. სახ. არტ. **ვაჰრამ ფაფაზიანის** ხელმძღვ. და მონაწილეობით დაიდგმება შექსპირის **„ოტელო"**, ტრაგ. 5 მოქმ. დასაწყისი 9 ს. 30 წ.
ბილეთები იყიდება. სალარო ღიაა დილის 11 ს. 3 ს. საღ. 6 ს. 10 საათამდე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 1940 წ. 30 ივნისს დღის 1-ლ საათზე, სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) დანიშნულია სამედიცინო ინსტიტუტის საბჭოს ღია სხდომა, რომელზედაც ექიმი **გრიგოლ ზაქარიას-ძე ფიცხელაური** მედ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე:

„Крайние типы изменчивости иннервации яичка и семенного канатика"

ოფ. ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. მედ. მეცნ. დოქტ. **ბ. ქავთარაძე,** პროფ. მედ. მეცნ. დოქტ. **დ. იოსელიანი** და პროფ. მედ. მეცნ. დოქტ. **ალ. წულუკიძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში ლუნაჩარსკის ქ. № 12.

85 **დირექცია.**

მშობლები ოლია ჟვანია, კოტე გვასალია იუწყებიან
პატარა ლიანას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/VI, 8 ს. გამოსვენება 22/VI 6 ს. მარის I ჩიხი, 8. 6845

მეუღლე მარო, შვილები ინეზა, ჯუსტალი იუწყებიან, რომ 25/VI ს. ბაჯში (ქრებალო) დანიშნულია [illegible]
ივანე სოლომონის-ძე ქარაზანიშვილის
სამოქ. პანაშვიდი. 6842

მშობლები გიგო, პელაგი, ძმა დავით, და ქეთო, რძალი ნინო, ძმისწული მერიკო ჭელიძეები, მამიდაშვილი ნინო შევარდნაძე იუწყებიან
არჩილ ჭელიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 23/VI ს. ბახვში. 6846

კირილე, შალვა, ალექსანდრე, ვანო, ნიკიტა ხოფერიები, დიმიტრი იმნაძე, ვასო მშვიდობაძე ოჯახებით იუწყებიან
გივი კვიროსის-ძე მშვიდობაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ლანჩხუთში, 22/VI. 6648

ცოლი თამარ, შვილი ვიტალი, სიდედრი მაკრინე იუწყებიან
შალვა პავლეს-ძე ნუცუბიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/VI ს. ზემონოლაში (საჯევახო). 6844

კოხმა კახეთელიძე ცოლით დარიკოთი, შვილებით ვახტანგით, პიმენით, რძლებით თამარით, მაროთი, სპირიდონ სხირტლაძე იუწყებიან ს. სხირტლაძის შვილის
თინიკოს
გარდაცვალებას. გამოსვენება 21/VI 6 ს. თემრუკის შესახვევი, 3. 6848

მიხეილ ხურცილავა ცოლით გოგუცათი, შვილებით თამარ და ტილარათ იუწყებიან ძმის და ბიძის
გაბო გიორგის-ძე ხურცილავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ზუგდიდში 23/VI, ფრუნზეს ქუჩა № 5.

სერგო დურმიშიძე და საშა ლორთქიფანიძე მწუხარებით იუწყებიან მეგობარ ვაჟა ჭიპაშვილის მეუღლის
მარგო გოლაშვილი-ჭიპაშვილის
გარდაცვალებას.

მშობლები ნინო, სოლომონ, ძმები ვლადიმერ, პართენ, რძლები ელიჩკა, ვალენტინა შვილებით იუწყებიან, რომ 25/VI ს. ბაჯში (ქრებალო) დანიშნულია [illegible]
ივანე სოლომონის-ძე ქარაზანიშვილის
სამოქ. პანაშვიდი. 6842

მეზობლები გურგენიძე, ანჯაფარიძე, წულაძე, დოლიძე, პეტრაშევსკაია, იოგანტ ოჯახებით იუწყებიან
ნინო კუკულაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ლისაში 21/VI. 6552

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი ამავე კომისარიატის პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები იუწყებიან სპეცგანყოფილების უფროსის
შალვა პავლეს-ძე ნუცუბიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/VI 6849

სიძე კოლია, ძმისწული მანია შვილით ჯემალით სალიაშვილები იუწყებიან
ნუცა გრიგოლის-ასულ მარკოზაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/VI ს. ხელთუბანში. 6854

შაქრო (ზაქარია) გაჩეჩილაძე ცოლით მაროთი იუწყება შვილის
პატარა თამაზიკოს
გარდაცვალებას. გამოსვენება 22/VI 5 ს. კალინინის ქ. 69.

სიძე ლუკა ბურკიაშვილი მეუღლით ლიდათი იუწყება რძლის
ლამარა (ფერიდე) მოწყობილი-დარსაველიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 21/VI 5 ს. გურამიშვილის, 18. 6847

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81 65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
მთავლიტის რწმუნებული ა—1317